

# საქართველო





უთრნალ „ჯეჯილისა“

33.

|                                                                                                                        |    |
|------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|----|
| I აე-ყია იგაეი—აღ. შიჩანაშვილისა . . . . .                                                                             | 3  |
| II ეასო და ქედანა (რუსულიდან) —ბეს. ჯაშაძისა . . . . .                                                                 | 5  |
| III თრითინა ლექსი—ჯაჭვისა . . . . .                                                                                    | 9  |
| IV ზამბანი (თარგმანი) —მარკ. ერისთავისა . . . . .                                                                      | 13 |
| V კრაზანების შურისძიება (თარგმანი) . . . . .                                                                           | 20 |
| VI მელიას თაფ-გადასაფალი, ზღაპარი (გაგრძელება)—აღ. ნა-<br>თაძისა . . . . .                                             | 22 |
| VII ტურა ლუნკევიჩისა (თარგმანი) . . . . .                                                                              | 30 |
| VIII ვაუკევის არწივი -- ინდოეთის ლეგენდა (თარგმანი)—ან.<br>წერეთლისა . . . . .                                         | 32 |
| IX პატარა დედოფალი (თარგმანი) გაგრძელება—ს. ციცი-<br>შვილისა . . . . .                                                 | 38 |
| X ცეისი და ალციონა (ოგიდიუსიდან) —ა. ყუმისთავისა . . . . .                                                             | 50 |
| XI სხვა-და-სხვა ამბები . . . . .                                                                                       | 56 |
| XII წგრილმანი: საჩუქრის მისაღები კითხვა, გამოცანები, ან-<br>დაზები, უჯრების ამოცანა, შარადები, რებუსი და სხვა. . . . . | 60 |

თანახმათ მათი ყოვლად უსამღვდელოესობის სა-  
ქართველოს ეგზარხ ისის დამტკიცებისა, თფილისის სა-  
ეპარქიო რჩევამ, 17 ოქტომბერს, 1897 წ. გადა-  
წვრიტა ქართული საემაწვილო უთრნალი „ჯეჯილი“  
საქართველოს ეპარქიის სამრევლო სკოლებში მიღე-  
ბულ იქმნას სახმარებლათ.



ეროვნული  
ბიბლიოთეკა

# გეგრი

საშუაგვილ ნახატებიანი

უუ რ ნ ა ლ ი

იზარდო, მწკანე ჯეჯილო,  
დაბურდი, გასდი უანა!..

ი. დ.


№ XI

წელიწადი მესამეტი

ბუილინი

სტამბა ტ. შ. რატინიანცის, № 41 | Тип. Т. М. Ротинианца, Гол. пр. № 41  
1902





Дозволено цензурою. Тифлисъ, 18-го Октября 1902 г.



ბ ვ - ე ი ა.

იგავი



რი მეგობარი გსად მიდიოდენ. წინ ერთი ასირებული, ავ-ეია კაცი შემოეყარათ. ერთ მათგანს ავ-ეიამ სრულიად უმიზეხსოთ უშვერის სიტყვებით გინება დაუწყო.

— მოიცა, მოიცა! — უთხრა შეგანებულმა ავ-ეიას, — ძლიერ დამზავლებ, თუ ამ ფულს ჩემგან ძღვნათ მიიღებ და ამასთანავე მანათიანი თეთრი ჩაუდო სელში.

მეორე მკსავრი საშინლათ გაოცდა თავისი მეგობრის ასეთი საქციელით და ჰკითხა:

— მშობილო, ეგელაჟერი მინახავს, მაგრამ გინებისთვის კაცის დაჯილდოვება-კი არ გამოიკა; თუ ღმერთი გწამს, ამისხენ, შენი ქველობა რას ნიშნავსო?

— ჩემის აზრით, — მიუცო მეგობარმა, — მე ეგ ავ-ეია კი არ დაჯილდოვე, ზირ-იქით ღირს ულათ დავსაჯეო.

— როგორზო?

— ამას მერე გაიგებო.






მართლაც ფულის ჩუქებით ეს უცნაური ავ-ეია კაცი  
 წახალისდა, წაქეზდა. შემოეყარა ახლა სხვას; იმასაც ღან-  
 ძღვა-გინება დაუწყო. ეს მეორე გაღანძღული ფიცნი კაცი  
 აღმოჩნდა; მოიმარჯვა ჯოხი და უსაბუთო გაბიაბრუების-  
 თვის იმდენი ბერტყა, სანამ მე და შენ მივეშველებოდით.

ამგვარათ ჯოხოსანმა ავ-ეიას ორის სამაგიერო გადაუ-  
 სხდა: თავისიც და სხვისაც.

ალ. მირიანაშვილი







ძლია

ქე-

ვა-

ო თვა-



ლის სინათლე, მსოფლიო მდი-  
ნარის ნაპირებისკენ არ წახვი-  
დეთ, შვილო, თორემ ალაგ-  
ალაგ ჩამონგრეულია და საშიშია

მდინარეში არ ჩავარდეთ, უთხრა დედამ ვასოს.

— არა, დედიჯან, მე იქით სულაც არც-კი წავალ,  
უპასუხა ვასომ, რომელმაც ფიცხლავ დაისურა ქუდი, და-  
უპასა ქედანას და გაუდგა გზას...

ვასო ორი წლისა იყო, როდესაც მამა მისმა ქედანა  
მოიუგანა, ქედანაც მამინ ჰატარა ლეკვი იყო; ქედანა მად-  
ლი და ვასო ერთად შეიხარდნენ. დედა არ ამღეგდა ხოლმე





ეროვნული  
ბიბლიოთეკა

ვასოს გასეირნების ნებას, თუ-კი მასთან ერთად ქედანაც არ  
აქნებოდა, რადგანაც ეს გონიერი ჰირუტევი ერთგული და

მოსიუვარულე იყო თავის მეგობრის ვასოსი. გზაც არ და-  
გბნეოდა სოფელ სასლისკენ; თითონ ვასოსაც ძალიან უყვარ-  
და თავის ერთგული ქედანა.

ვასო და ქედანა შევიდნენ ერთს ტყეში. ქედანა ხან უკან  
ხსოვრებოდა ვასოს და ხან წინ ასწრებდა წკუტუნით და  
კუდის ქნევით. ისინი გავიდნენ ტყის მეორე ნაპირსე, სადაც  
ვასოს თვალ-წინ წარმოუდგა მდინარე და იმის ჩანგრე-  
ული ნაპირეიც, სადაც დედამ აუკრძალა მას სიარული.

— ოხ, ღმერთო ჩემო! რა მშვენიერი ბაღანები ყოფილა  
აქ! რა კარგი იქნება, რომ ზევიდან გადავსედო ამ მდი-



ნარის ანკარა წებას, თქვა ვასომ, და, ცოტა მოფიქრების შემდეგ, მივიდა მდინარის დაქანებულ ნაპირას, ჩაჯდა და დაუწყო ძირს ცქერა; ქედანაც იქვე გვერდით ამოუჯდა ვასოს.

ვასოს ჯდომა მოეწეინა, ადგა ზეზე, დაუწყო უვა-ვილებს და ბალახებს კრეფა და ერა მდინარეში, თან თვალს ადევნებდა, თუ როგორ წაიღებდა მდინარე მის მოგ-ლეჯილ უვაზილებს და ბალახებს. ამობაში ვასომ ძალიან დაისწარა ძირს თავი და... გადავარდა მდინარეში; ქედანა წა-მოვარდა ზეზე და როდესაც შესედა, რომ ვასო უსამუალოთ ფართსალობდა წებაში და თითქმის იხრჩობოდა, გადასტა მდინარეში, ჩაავლო ჰირი ტანისამოსში, გაათრია ცოცხალ-მკვდარი ვასო მდინარის მეორე ნაპირზე და თითონ ქე-დანამ-კი საჩქაროთ მოჭკურცხლა შინისკენ.

ვასოს დედა იმ დროს დერეფანში იჯდა და ჭკერავდა. უეცრათ ქედანამ შეირბინა და დაუწყო ტანისამოსს წევა კბილებით, თითქო ეუბნებოდა: «წამოდი, ვასოს უშველეო». ვასოს დედა შესედა, რომ ძალდი წებაში ამოწეწული იყო, მაშინვე მიხვდა, ვასოს რამე უბედურება დამართ-ნიაო, მწარეთ შემოიკრა თავში ხელი და საჩქაროთ გაჭე-ვა ძაღლს, რომელიც წაუძღვა მას მოკლე გზით მდინარის ნაპირისკენ, სადაც ვასო ეგულებოდა. შეშინებულმა დედამ დაინახა ცოცხალ-მკვდარი ვასო, მოიგდო ზურგზე და რო-





გორც იყო მოიუგანა შინ და მოიწვია ექიმი. ვასოს ექიმმა ბევრი საშუალება აღმოუჩინა და გადაარჩინა სიკვდილს. მორჩენის შემდეგ ვასომ სიტყვა მისცა დედას, რომ კვლავ უოველთვის დავიჯერებ შენ რჩევას და დარბილებასო. ვასომ დაახატვინა თავისი და ქედანას სურათი, რომ არაოდეს არ დავიწყებოდა თავისი ერთგული ქედანა, რომელმაც დასწო-ბისაგან გადაარჩინა...

ბეს. ვაშაძე.

(რუსულიდან)







## თ რ ი თ ი ნ ა.

ომმა მოსამსახურედ  
აირჩია თრითინა.  
და მანაც ერთგულება  
მასი გამოიჩინა:

ოდონდ-კი ბატონისთვის  
მას რამე შეეძინა,  
და თავს არ იხოვავდა  
თითქმის აღარ ეძინა.

ბატონიც, მადლიერი,  
წყალობას უზირდებოდა,  
მაგრამ ჯერ-ჯერობით-კი  
მსახურს სული სდებოდა.





სსკები, მისი ტოლები  
 დასტოდენ თავისუფლად!  
 ეს-კი ბატონთან იყო,  
 როგორც ტუსადი ობლად.

მისი ამხანაგები,  
 რომ აკნატუნებდენ თხილს,  
 შორიდან შეჰუერებდა!  
 და ოცნება სჭრიდა კბილს.

იდგა მარტო იმედზე,  
 უცდიდა დანაპირებს:  
 ერთსეულს აწის, ლომი  
 დიდათ... დასასუქრებს.

უცდის... «დღეს და სვალობა»  
 ჯღარ გამოიღია,  
 მაგრამ რა გაეწეობა?!  
 იმედიც-კი ტებიღია.

როგორც იქნა, ბოლოს დროს  
 მისცეს თავისუფლება!..  
 წყალობაც მისთანა რამ



მეტი არ შეიძლება.

რომ აღარ იცინილოს  
სხვებსაჲთ მანაც ტეჲში  
და უსრუნველიც იჲოს!..  
მოსვენებით... მის დღეში.

დაუნიშნეს ჰენსიათ  
მას თხილი ერთი გუდა  
და სთქვეს: «დამერთმა შეარგოს,  
სჭამოს რამდენიც უნდა».

ვინ იტყვის ამის უარს!  
კარგი საჩუქარია,  
მაგრამ საწუალ თრითინას  
კი არად უნარია.

ამ გვარი მოწუალებს,  
ორჭოფი და ჭრელია:  
«არც წვაღსა სწავს, არც შამფურს»  
და არც სანატრელია.

სანამ საწუალ თრითინას  
კბილები მაგრათ ქეონდა,



არავინ რას ამღევედა,  
 თუმც ბატონს-კი მოსწონდა.

—  
 ახლა, როცა სიბერით  
 აღარ შეჩნა კბილები  
 რადათ უნდა საბრძლოს  
 ან წაბლი? ან თხილები?

აკაკი.





ზ ა მ ბ ა ს ი.



რთ ჰატარს სადგურის წინ, ნელის  
ქმენით გაჩერდა სახალსო მატარებე-  
ლი. მისი ფანჯრებიდან იცქირე-  
ბოდნენ მგზავრები, რომლებიც მე-  
ტათ მოწყენილი გამოიუურობდნენ.  
სადგურის სიჩუქეს არღევდა რკინის  
გზის რამდენიმე მოსამსახურეთა სმაუ-  
რომა, მეეტლეები და ერთი თორმე-  
ტი წლის ფესშიშკელა და უჩუდო ბი-  
ჭი, რომელსაც დახეული და წვიმი-

საგან დასველებული ჰერანგი გამხდარ ტანსე ზედ ეკვროდა.  
ეს ბავში იქცევდა საერთო უურადლებას თავისი სიმკვირცხ-  
ლით: დაბოდდა ერთი ფანჯრიდან მეორესთან და აწვდიდა  
მგზავრებს ნახევრათ გაძლილ ზამბახით სავსე ბოუეს და  
თან საბრძლო ხმით იმასოდა: «ზამბახი, ზამბახი.

— «კარგი ზამბახია, იუიდეთ ბატონებო». ვედრებით  
გაჭკიოდა ბავში და გაფაცტეცებით შესცქეროდა გულ-გრი-



ლათ მასურებელ ხალხს, რომლებიც ნებიერთ იხსდენ მატარებელში თბილათ.

ერთი კონატ აზავინ იეიდა მისგან, თუმცა ბავშმა სულ შემოიბრინა მატარებელი და ისევ სტოპით დაბრუნდა უკან სელებ-გაწვდილი. ერთხადირის გულ-გრილობით შეჭურებდენ მგსავრები როგორადაც ჰატარა სადგურს და წვიმიან დღეს — ისე ჰატარა ბიჭს.

ამისთანა დარში აზავას იხიდავდა მწვანე ჯამბასი და არც აზავინ ფიქრობდა თუ ბავში გაჭირებული იყო და ყვა-ვილებში აღებული ფული მას შემწეობას მოუტანდა.

— «ჯამბასი, ჯამბასი იეიდეთ, კეთილო ბატონებო!»  
 გაისმა კიდევ ბავშვის სმა. დაირეკა მესამე ზარი, მას მოჭევა უფროსი კონდუქტორის სტვენა, მატარებელი დაიძრა. მისდევდა ბიჭიც მეორე კლასის მატარებელს და კიდევ ჭევი-როდა.

— «ჯამბასი, ბატონებო, ჯამბასი».

მატარებელმა უფრო მოუხეარა. ბავში ახლა აღარ ეკი-როდა, მაგრამ თავის-უნებურათ მაინც მისდევდა მატარებელს, იმის დაღალულ სახესა და თვალებში უიმედობა გამოიხატებოდა.

ფანჯრიდან-კი ამ დროს ზიზღით უცქეროდა ჰატარა ბიჭს ერთი ახალგაზდა კაცი. მას ბავში თუმცა სასაცულოთ ეჩვენებოდა და ეურადღების დირსადაც არ ხდიდა, მაგრამ რადგან ძალიან მოწეენილი იყო იფიქრა: მოდი ამ ჰატარა



ძალ-დაბტანებელ ევაგილის გამეიდველ ბავშვს დავსჯი და მით გავიმსიარულებ თავსაო. ემაწვილი კაცი გადმოიღუნა ფანჯრიდან და ბავშვს სელიდან ბოუვი გამოსტაცა.

— «აჲ ესეც შენი სამბახსი», უთხრა მან ბავშვს მწარე დაბტინავი ღიმილით. მატარებელი-კი თან-და-თან უჩქარებდა. ბავში გაქვავებულსავით იდგა, უიმედოთ სელებ-ჩამოჟრილი და შეჭყურებდა, როგორი სისწრაფით იკარგებოდა თვალისა და მატარებელი და მასთან იმის სამბახსით სავსე ბოუვი და ყოველივე მისი იმედები.

— რა იყო მიტო? დაგეკარგა შენი ევაგილები? ჭკით-სა ბავშვს იქვე მდგომმა დარაჯმა, რომელიც მოწმე იყო მიტოს მწუხარებისა.

— დამეკარგა, უნასუნა მან და მის ხმას უფრო გაკვირვება ეტეობოდა ვიდრე წყენა.

— ვიფიქრე შვიდ კანკიკს მაინც ავიღებ-მეთქი! წაიბუტბუტა ემაწვილმა.

— გეწვინა მიტო? რასაკვირველია. აბა ახლა სადღა იშოვი სამბახსს? ტყეში ახლა ტალახია, მართლა რომ ტყეილათ გარჯილხარ, მშობილო, თანაგრძნობით დაუმატა დარაჯმა. — მართლა ეს მითხარი: რათ გინდოდა ფული? შენ ხომ ობოლი ხარ და მაძასადამე სოფელი გარჩენს.

— მარჩენს. თქვა მან და სირცხვილისაგან თავი დაღუნა.

— მაშ რათ გინდოდა ბიჭო ფული?



— ანბანისთვის... სწავლა მინდა.

— უცნაური ბავშია! თქვა დარაჯმა და მოძორდა.

ემაწვილი კაცი ბოყვით.

მეორე კლასის ოთახში მარტოკა იჯდა სავარძელში ბოყვის წამრთმევი კაცი და დაფიქრებული უუურობდა სამბასის მწვანე კოკრებს. რაღამაც შეუძალა სელი, რომ ბოყვი გადაეგდო ფანჯრიდან სანამ სადგური და ბავში თვალს მიეფარებოდენ, ძალიან-კი უნდოდა ასე მოქცეულიყო.

ზამბასს არავითარი სუნი არ ჰქონდა, რადგან ჯერ სულ მწვანე და გაუშლელი იყო. — ბიჭი-კი ახლა ტირის უთუოთ. გაიფიქრა ემაწვილმა კაცმა და მოიჭმუსენა სახე. — ძალიან კარგათ ვქენი, მეორეთ აღარ გაბედავს, და მათსოვრობას გადაეჩვევას; უფრო უკეთესს საქმეს მოჰკიდოს სელი და თავი დაანებოს უვარგისი ევაგილების გაყიდვას.

ზამბასის მწვანე კოკრები-კი თითქო ევედრებით შესცქეროდენ მას. რამდენსაც მეტს უუურობდა ემაწვილი კაცი — იმდენათ უფრო რცხვენოდა თავისი საქციელისა. მართალი რომ თქვას კაცმა ემაწვილი არ იყო ბოროტი ადამიანი და ევაგილების მოტაცება-კი მოწყენილობის გამო მოუხდა. იმას ფიქრათაც არ მოსვლია თუ ცუდათ მოიქცა და მითი ვისმეს აწეენია. იმან მხოლოდ ამ თვეში გაათავა საშუალო სასწავლებელი და ახლა აწირებდა სწავლის გა-



გომელებას. ეს ეძაწვილი იყო ევგენი ნიკოლოზის მე-  
ხოვინი, მდიდარი დედ-მამის შვილი და ახლა ბრუნდებოდა  
სახლში.

წენარათ დაიჭრიალა კარებმა და შემოვიდა კანდუქტო-  
რი. ევგენიმ უცბათ შესედა მის უცნობ სახეს. — უთუოთ ახ-  
ლა რომ გაჟერდით იმ სადგურიდან მოდის, გაიფიქრა ევ-  
გენიმ და მერე ისევ დაუწყო სამბასს ცქერა.

— სამბასი გიუიღნიათ? ჭკითხა ღიმილით კანდუქტორ-  
მა, რომელიც მის გვერდში გახერდა. ევაზილები ჯერ არ  
გაშლილა.

— დიას, არ გაშლილა, მკვასეთ უზასუსა ევგენიმ, თან  
რცხვენოდა კანდუქტორისა.

— მაგიერათ კეთილი სოქმე გიქნიათ. ამ ახლო-მახლო  
სოფლებში ეველგან დიდი სიღარიბეა. მე აქაური ვარ და  
კარგათ ვიცი ეველა აქ მცხოვრებთა ამბავი. ის ბავში, რომ-  
ლისაგანაც ევაზილები გიუიღნიათ, სიღარიბის გარდა ობო-  
ლიც არის...

— ობოლი? უნებურათ წარმოთქვა ევგენიმ.

— დიას, უდედ-მამო... იმ სოფელში, სადაც ის ცხოვ-  
რობს ბევრი ობლებია... ასე ექვსი-შვიდი სული იქნება.  
მათ სოფელმა მისცა ქოხი, რომ სამთარში არ გაიფინონ  
სიცოცხით. სამთარში დანთებენ სოლმე თიხსით ევცხლს  
და როცა ცვეცხლი გაუქრებათ გაქეპვენ ნაკრს, ჩავორდე-  
ბიან შიგ და ტუბილათ მინავთ.



— ოჰ, ეს საშინელება! წარმოთქვა ევგენი.

— რასაკვირველია, კარგი არ არის, როცა ამოისვრებიან ნაცარში ბუხრის მშემენდავეებით, უზასუხა კონდუქტორმა — მაგიერათ თბილათ არიან; გასაფხულზე გასუფთავების სოლმე და შეუდგებიან იმის მუშაობას, ვინც რა სელობა იცის: მაგალითათ ზოგს დღესასწაულობით სადგურზე მოაქვს ხილი, ზოგს სოკო და ევავილები. ობლისათვის ყოველი გროში საჭიროა... მშვიდობითა ბრძანდებოდეთ ბატონო, დაუკრბ კანდუსტორმა თავი და გავიდა.

დარჩა მარტოკა ევგენი. ადგა სავარძლიდან და მიადოშუბლი ცივ მინას.

— ღმერთო ჩემო, ეს რა ვქენი! რა ჩავიდინე! ბუტ-ბუტებდა ის და თან კბილებს აკრატუნებდა. — ეს სომ ქურდობაა? მაგრამ რა ქურდობაა! — განა დიდი ჯაფა უნდოდა სამბახის მოკრეფას! აწი კიდევ მოკრიფოს, რა კიცოდი თუ ფულები ესატროვებოდა. ისეთი თავ-მომბეზრებელი ჩანდა, სულ ფანჯრებში მოძვრებოდა თავის ბოყვით, მაგრამ ახლა რაღა ვუო?

ის გრძნობდა, რომ დამნაშავე იყო და უნდოდა გაესწორებინა დანაშაული ობლის წინაშე. — დავბრუნდე ისევ იმ ჰატარს სადგურზე? მოვძებნო ბავში და მივცე რამდენიმე მანეთი? ეს ძნელი ასასრულებელია. სად ვეძებო ბავში უცხო სოფელში, რომლის სახელიც არ ვიცი და მერე კიდევ ამით რამდენ დროს დაკარგავ, სახლში-კი მოუთმენლათ



მელიან. არა, სხვანაირათ უნდა მოვახერხო როგორმე. ამ დროს მას კანდუსტორი გაასწავლა და გადასწევითა, იმისთვის მიეცა რამდენიმე მანეთი ბავშვის გადასაცემათ.—ეს კარგი ასრი მოძივიდა გაიუქრა მან, მოძორდა ფანჯარას და დაჯდა ბოუვის გვერდით, რომელშიაც ისევ ისე ირწეოდენ მწვანე კოკრები.—მივცემ კონდსტორს ფულებს, მაგრამ, განა დასაჯერებელია, რომ ის გადასცემს მას და არა თავისთვის წაიღებს? რა შენაღვლება, მე ჩემ ვალს ავასრულებ და ამით სვინიდის დავიძვიდებ. ნეტავი რათ მელაზარაკებოდა კანდუსტორი იმ ბიჭის შესახებ! ხომ არ დაუნახავს ბოუვი რომ გამოავტაცე სელიდან? სჯობს კანდუსტორს არაფერი ვუთხრა ამის შესახებ, სრულებითაც გავჩუქდე და სამბახი გარეთ გადავაგდო. ევაგილების წართმევა ბიჭს დიდ არაფერ სარალს მოუტანს, კვლავ-კი უფრო ჭკვიანათ მოიქცევა და ფანჯრებში აღარ დაიწეებს ზოტინს. ევლას ეძვობინება გავჩუქდე და ეს ამბავი დავივიწყო. სამბახს კი ფანჯრიდან ვისვრი და მოვიძორებ თავიდან.

ემწვილ კაცს თითქოს შეეშინდა აღარ, გადავიფიქრო, უცბათ წამოხტა, წაავლო ბოუვს სელი და გადაისროლა ფანჯრიდან. სამბახმა ტყავა მოიღო ბუჩქებში. ამ დროს ქარმა დაუბერა და მატარებლიდან ამონადენი კომლი გადააფარა ბოუვს, თითქო იმისთვის, რომ ევგენის ძაღვ დაევიწყებინა ეს უსიამოვნო შემთხვევა. იმან დაჰყეპა ფანჯარა და წამოწვა. იმისი ფიქრები გადადიოდენ ერთი საგნიდან მეორეზე და ზატარა ხანს უკან გაისმა მისი დამშვიდებული სვრინვაც.



## კრახანაგის შურიძიება.



როტ გერმანელს სახლის გვერდით ჰქონდა ბორბალით გამართული ჭა, მაგრამ დიდი ხანი იყო რაც წყალს იქიდან აღარავინ სმარობდა. ერთხელ სახლის ჰატრონმა მოინდომა ბორბლის გასინჯვა, რომ ენახა კიდევ გამოდგებოდა თუ არა სასმარებლათ. ახლო ხელი თუ არა ბორბალს, რომი მოეტრიალებინა — იქიდან ერთბაშად მთელი გროვა კრახანებისა შემინგბულნი ამოფრინდა ზევით. თურმე ამ ძველ ბორბალში გაეკეთებინათ ბინა.

მწერები გამძაგებული მივარდენ საბრალო გერმანელს, ის გაიქცა გზისკენ, კრახანები გამოუდგენ და უწყალოთ კბენდენ.

გსაზე ჰატარა ურძით მოდიოდენ გლეხი თავისი ცოლით და მოჯამავირეთი. გერმანელმა სასოწარკვეთილებით დაიწყო ურძის გარშემო სირბილი, იქნება კრახანებმა თავ-



ვი დამნებონო. ზოგი კრასანა მართლა ცხენებს დაესია, მაგრამ უმეტესი ნაწილი ისევ ისე საშინლათ კბენდა, სანამ საბრალო კაცი ღონე-მიხდილი არ მიიძალა ხშირ ბუჩქებში.

გერმანელმა მსოფლიოთ მაშინ აიშორა თავიდან გაბრუნებული მწერები.

დასიებული სახით, თითქმის დაბრძვეებული გერმანელი გამწარებული გაექანა საჩქაროთ მეზობელთან; იქ დასახინებულ სახესე დაადგეს უძი სოფცი და ტალახი. ამავე დროს დაკბენილი ცხენები გაგიჟდენ და მოიტაცეს ზატარა ურეში. დიდ სანს ვერ შესძლეს ცხენების შემაგრება. ბედზე მიგ მჯდომნი გადარჩენ.

(თარგმანი)







## მელიას თავ-გადასაპალი.

(ზ ლ ა პ ა რ ი)

XI



თუ დიდებული მეფის სურვილიც იქნება, მე თითო-ოთხთ ჩამოკრული დაკარგულ ნივთებს, თქვა მელიამ. — დაიკარგა თილისპიანი ბეჭედი; რაც უნდა სენით ეოფილიყო კაცი შეპყრობილი, ეს ბეჭედი მოაწიწნდა; იგი იუბრავს ადამიანს ღალატისაგან, ტყვეობისაგან და საწამლაკისაგან. არც ჭექა-ქუხილი ბუნებისა, არც ჯადოქრობა ქვენიერობისა არაფერს დააკლებს სულდგმულს, თუ ის ბეჭედი იქნება მის ახლო. ის ბეჭედი ჩემს მფარველ მეფეს გამოეუგზავნე სახუქრათ, რადგანაც ამ სახუქრის ღირსათ მე არავინ მეგულებოდა — გარდა მეფისა. ტყინთხელა-მემკი დამღუპა და დამანელა მისი მოძარვით. არც ჩემი



მწუხლობელი დედოფალი დამიტოვებია უუურადღებოთ: ფრიად შესანიშნავი სარკე გამოუგზავნე ამათაც. ღმერთო ჩემო, რა ნახატები არ მოიძებნებოდა ამ საკვირველი სარკის ჩაწოვებზე. მე სოცერთა სურათის შინაარსი დამხსნამდა და გაიმბობთ კიდევ: აი მაგალითათ — ამ ცხენის ამბავი. შურიანი ცხენი დაენამლევა ირემს, სირბილში მე გაჯობებო. გაიქცენ, მაგრამ სიმაღლეში ირემს ცხენი როგორ აჯობებდა! განრისხდა ამაზე ცხენი და მწეკმსა სთხოვა: «შემაჯექი სურგზე, დავეწვევი ირემს და იგი შენი იქნებაო» «კარგია», — დაეთანხმა კაცი, მარდათ შესკუნდა ცხენსე და გამოუდგა ირემს. ირემი ძალე გამოჩნდა, მაგრამ ძალევე დაბურულ ჭალაში შეაფარა თავი. ცხენი დაიღალ-დაიუხნცა და უთხრა მწეკმსა: «ახლა-კი უნდა ჩამოსტეო». — თავის დღეშიაც არაო, უნასუნა კაცმა, შენ თვითონ ინებე, რომ სურგზე შეგმჯდარიყავი და ახლა სამუდამოთ ჩემი მონა უნდა გაქსდეო». ასე ამ რიგათ კაცმა დაიმორჩილა ცხენი და დღესაც მისი ემა და მონა არის. ეოველ სიბოროტეს ეს ამბავი მოსდევს სოლმე: ვინც სხვას ორმოს უთხრის, თვითონვე ჩაბრძანდება ორმოში.

იქვე გვერდზე უფრო შესანიშნავი ნახატი გახლდათ. აი იმის შინაარსიც: ვირი და ძაღლი ემსახურებოდენ ერთ მდიდარ ჰატრონს, მაგრამ ეველასე ძალიან ჰატრონი ძაღლსა სწულობდა. რაც რამ საუკეთესო კერძი იყო იგი მას მისთავსებდა სოლმე და ძაღლიც მუდამ ხელს ულოკავდა,





ვირს ჭკუაში არ მოსდიოდა ეს უსამართლოება ჰატრონისა და გულში განისწახსა:

— ეს ასე რათ უნდა იუვეს, ჰატრონს ჩემსე ძალიან რათ უნდა უუვარდეს ძაღლი, როდესაც იგი არაფერს არ უკეთებს, გარდა ღაქუცისა და მასხარაობისაო? მე-კი ჩემი წუთისოფელი მუშაობაში ვატარებ: ამკიდებენ სოლმე იმდენა ტვირთს, რომლის ტარება არც ოცს ძაღლს შეუძლიან. გაგონილა! მე ამ ჯაფისთვის ჩაღასა და ბსეს მომიყრიან სოლმე და იმ წკაპწკაპას-კი თავიანთ ჯამში აჭმევენო. რასან ღაქუცსეა სეჟმე, განა მე-კი არ შემძლიან ვეძაიშუნო და ვემასხარაო ჩემს ჰატრონს, ოდონდაც იმავე ჰატრით მომეპყრასო».

ამ დროს გარეთ გამობრძანდა ჰატრონი. ვირმა აიტრისა კუდი და ეროჟინით გაეყანა ჰატრონისაკენ. გაიქნივ-გამოიქნია უკანა ფეხები, შეჭხტა და შეინავარდა, აღტაცებულმა ევირილს უმატა და დაუწყო აღერსი და კოცნა ჰატრონს. ჰატრონი ამ მოულოდნელმა ამბავმა ცოტა არა შეაშინა და მორთო ევირილი. ამ სმაურობასე გამოცვივდენ ბიჭები კეტებითა და ნაჯახებით. მიატყვეს და მიატყვეს ჩვენს ეროჟინას, სურგი აუწვეს და რის ვაი-ვაგლასით შეაბრძანეს ბოსელში; ჩაუკეტეს საცოდავს კარები და ჩაღა რა არის, იმასაც-კი აღარ აწვდიდენ საწებლს, კინაღამ შიმშილით სული ამოხდა. აი ასე მოუვა სოლმე შურიან აღამიანს. მაგრამ გავაგრძელებ სხვა სურათების ამბავსაც.



ჩაწხოზე გამოსახული მსუნავი მეელი და იქვე არდი-  
გარდმო წვრილი ასოებით წარწერილია ლექსათ მისი ამ-  
ბავი. ისე მოძეწონა ეს ლექსი, ისე მიამა იმისი წაკითხვა  
ისე, რომ არამც თუ მე, ჩემმა შვილებმაც-გი გაიხეზირეს.  
თუ თავს არ შეგაწეენტ და მოისმენტ თავიდან ბოლომდის  
მოგახსენებთ:

ეს ეველამ ვიცით, რომ მელები გაუძმაღარნი არიან,  
ჭამის დროს ძვალსაც ღრბილსაც ერთათ მუცლისკენ ჰგზავნიან.  
ამ ღორმუცლობამ ერთს მათგანს სულ აწეველინა თავ-ბედი,  
ძვალი დაადგა მას ეელსე, გაჭქრა სიცოცხლის იმედი.  
სული უგუბდა, სახსნელად ვეღარ ხმარობდა ხერხებსა,  
აბრიალებდა თვალებსა, ფშეკდა მიწასე ფესებსა...  
იღბლათ გამოჩნდა იქ ასლოს წერო თვის გრძელი ნისკარტით;  
მეის კასაჭირი თავისი მეელმა ანიშნა მას თათით.  
ღმობიერებით შესცქერდა და გულით ევედრებოდა,  
ქაბრონა და მომაკვდავს რითიმე მიჭშელებოდა.  
ჩაუეო გრძელი ნისკარტი მეელს წერომ, დიდხანს ეწვალა,  
გაჭირვებითა ეელიდან მას ძვალი ამოაცალა;  
და შემდეგ, რაკი ნადირი გადაარჩინა შავ-ბედსა,  
გარჯისთვის თავაზიანათ სასუიდელს თხოვდა მცირესა.  
მეელმა შეჭეუვლა: «ხუმრობ თუ? განა ვის ჰხედავ ტოლსაო,  
შენ ფასსა ითხოვ ჯაფისას? შესეთ ამ უმაღლოსაო!



სახუქრათ ის არ გეყოფა, რომ ეგ სულელი თავიო  
 ამ ჩემ საშიშარ კბილთაგან მოგლეჯას დაჰიტავიო?  
 გასწი, ძამიაჲ, გაფრთხილდი, კვლავ აღარ მომხვდე ხელშიო,  
 თორემ ვეღარ იხილავ ცის ნათელს თავისს დღეშიო».

ძალიან ვწუხვარ, რომ წინდაწინვე არ ვიცოდი, თუ  
 რა სასიზღარო და მოღალატე ეოფილა ის ვიღაც ტვინ-  
 თხელაძე იყო, თორემ იმას როგორ ვანდობდი იმისთანა  
 პვირუასს ნივთებს. ეჭ, «ავათ შეძენილი ავათვე წავაო»,  
 ნათქვამია. სწორეთ რომ ასეც მომავიდა. ეველაფერი ძამა-  
 ჩემს მოვხარე, დარღისაგან იგი საიქიოს გავისტუმრე და  
 დახე ჩემ ბედს, მეც ვერ მოვიხმარე ამოდენა სიმდიდრე.  
 ნეტავი ისეთი კარგი მანკ არ ეოფილიყო ცხონებული.  
 მშვიდი, თავმდაბალი, მოწყალე, უხვი და ამასთანავე მეტის-  
 მეტი ერთგული და თავდადებული მეუღისა. თქვენც გეხსო-  
 მებათ, მოწყალეო მეფევ, ერთხელ რომ მამათქვენი ავათ  
 გამხდარიყო და ექიმებს ხელი აეღოთ — იგი ვეღარ მორჩე-  
 ბო. მაშინ საწყალი მამაჩემი დაებარებინათ (თურმე ძალიან  
 ექიმობა იცოდა საცოდავმა) და ებრძანებინათ როგორმე  
 გამოაბრუნეო. მამაჩემსაც ეთქვა: «მეფეს მგლის გულ-ღვიძ-  
 ლი მოარჩენსო, სსკ არაფერი წამალი ამას აღარ მიუდ-  
 კებაო». შეჩვენებულ ტუჩას უარი ეთქვა ამასე და ძალათ  
 რომ არ გამოერთმიათ მეფე მაშინვე თქვენ ჭირს წაიღებდა.  
 მიერთმია თუ არა ი გულ-ღვიძლი, მამა-თქვენი იმწამსვე



მორჩენილიყო. იმას მოგასწავნებდით ეს შეჩვენებული მგლე-  
ბი მხოლოდ თავის თავისთვის არსებობენ, მაგათგან სი-  
კეთე არვის გაუგონია, მე-კი რომ მკითხოთ, ეგენი ეველანი  
რომ ამოწედენ ისა სჯობიან, ვინემ მეფე შეუძლოთა ბრძან-  
დებოდეს.

— მე ძალიან საეჭვოთ მიმაჩნია შენი ნაამბობი, რად-  
განაც მე ამგვარი რამ არა გამოგია-რა, თქვა მეფემ. მარ-  
თალიც რომ იუვეს — ეგ სიკეთე მამიშენის-მიერ ჩადენილი  
სიკეთესა და ამასთანავე ძველათ ძველი ამბავია. შენი ოინე-  
ბი-კი სულ ახალ-ახალია და ერთ ზირუტევს ვერა ჰპოვებ,  
რომ შენსე კარგი რამე თქვას.

— კვენამი-კი ნუ ჩამომართმევთ, უნასუსა მელამ, რომ  
მოგასწავნოთ, დიდებულო მეფე, ჩემი გული თქვენთვისა  
სცემს-მეთქი, ჩემი სიცოცხლეც არაფრათ მიმაჩნია უთქვე-  
ნოთ. ესეც სომ არ დაგავიწყდათ, მეფე, ერთსელ მე და  
ძველმა რომ ღორი დაუჭირეთ. ამ ნიშნით, მაშინ  
თქვენ გუნებასედაც არა ბრძანდებოდით. მოხვედით ჩვენთან  
და გვიბრძანეთ წილი დაგვედო ჩვენს სამოვარში. ტუჩამ  
ზასუსათ რაღაც წაიბურტყუნა და მე-კი ამ ბედნიერებაზე  
დიდი სიამოვნებით დავთანხმდი. ვინ უნდა გაჭეოს-მეთქი? —  
ძველმაო», თქვენა ბრძანეთ. ღორმუცელა სინარულით მე-  
კუნტრუშდა. ამ ვაჟბატონმა ნასევარი თავისთვის აიღო, თვი-  
თო მეოთხე თქვენა და დედოფალს გიწილადათ, მე-კი ეუ-  
რები გადმომიგდო. თქვენ ძალე შეეძცით თქვენ კერძა,





მაგრამ გატეობდით, რომ კიდევ გნებავდათ, მეელი-კი შე-  
 ექცეოდა და თქვენ უურადლებას არ გაქცევდათ, მაგრამ კარ-  
 გი პრისტაული სილა-კი მიიღო თქვენგან იმან. ერთი-კი  
 შეღძულა ტკივილისგან, ამოიძუა კუდი და იკადრა გაქცევა.  
 «ისმარე სოღმე ზრდილობა და პატიოსნებაო», მიამახეთ  
 თქვენ. «უეჭველათ ვიშოვნო რასმე და ამ წუთში მოგართ-  
 მევთ-მეთქი, შემოგმხეთ მე. თქვენ არ გამიშვით — ერ-  
 თათ ვინადროთო. მართლაცა და ძალე სბო ჩამივარდა  
 ხელში. მე ვიცოდი, რომ ეს ხორცი თქვენ ძალიან გი-  
 ვართ და მაშინვე ნაშოვნით იქვენთან გახელი. «აბა,  
 მელია, გაუავიო», მებრძანეთ მე. — «აი ეს ნახევარი თქვენ,  
 ჩემო ბრძანებელო, ეს ჩემ დედოფალს, ღვიძლი, თირკმე-  
 ლები, გული, ჯიგარი თქვენს შვილებს, ფეხები მე და თა-  
 ვი ამ მაწანწალა მეკლსა-მეთქი». «ვინ გასწავლა მაგვარი  
 გაუოფაო», მითხარით თქვენ. — «აი იმ წუწკმა-მეთქი», მივიშ-  
 ვორე ხელი თავ-დასისხლიანებულ ტუჩასკენ. განა მე მგლის  
 ტოლი ვარ, რომ იმას მადრით. მოიგონეთ აბა ეს ჩემი  
 ნახაზები? ოჰ, ჩემო დაქარგულა სიმდიდრე, ამოიხსრა  
 შეჩვენებულმა.

ცრემლები წურწურით ჩამოსდიოდა მოხერხებულ მე-  
 ლიას. წარმოიდგინეთ შეეცოდათ კიდევ და დაუწევს ნუგეში.

— დამშვიდდით, — უთხრა მეუემ, — თქვენ გაგიშვებთ იმ  
 განძის საზოგნელათ, დასასმარებლათ მეომრებსაც გაგატანთ.

ამის გამგონე ტუჩა სულ მთლათ დადნა სიბრახისისგან.



— დიდებული მეფე, ნუ თუ თქვენ კიდევ გჯერათ რა-  
მე ამ ქურდისა? მე აღარ შემოძლიან ნება მიუცე ამ სულის  
გამოიდევლს ცარცვა-გლეჯისა და აკასაკობისა, თქვა მკელ-  
მა, გამოვიდეს ეგ შეჩვენებული სმალში, დეე ახლა ამით  
გადასწედეს ჩვენი ავიც და კარგიც.

ალ. ნათაძე.

(შეძლება იქნება)





## ტ უ რ ა.



არეულ მტაცებელ მსეცებს შორის ერთი ტურა ითვლება. ტურა ტანის მოუვანილობით, სიდიდით და ხასიათით, რომ სთქვას კაცმა, ნამდვილათ არც მკელს ჰგავს და არც მელის, მაგრამ ორივეს-კი მოგაგონებთ, შესედულობითაც და მოქმედებითაც. ტურა ახლის ცხოველია, მაგრამ ზოგან ევროპაშიაც შესვდებით; ჩვენში, კავკასიაში-კი, ის სშირია. ტურას მარტობა ძალიან ეჯავრება, იშვიათათ შესვდებით რომ მარტოკა ნადირობდეს. როგორც-კი მოღამდება ტურები ასტეკი გულის-შემსარავ ეპილს და ერთმანეთს იწვევენ სანადიროთ. როდესაც შეიურებიან ერთათ, იმ შემთხვევაში სულ სხვა ხმაზე დაიწყებენ ღმუილს და აქეთ იქით ცქერას, ეს მათი ბჭობაა, რომ საით წავიდნენ სანადიროთ. შემდეგ მთელი დასობით ეცემიან თავს საქათმეს, ან საღორეს და ქურდ-ბაცაცაობენ. ასევე ჯგუფათ ესხმიან თავს ტუის ფრინველებს და ცხოველებს:



კურდღლებს, თოუის ხალთებს და ხან-და-ხან ირმის ნუკრებსაც. ხან-და-ხან ისე მოხერხებულათ უკებენ მასეს რომელსაჲ მსეცს, რომ კარგ მონადირესაც გაუჭირდება: გაიოფებიან ორათ, ერთი წილი უტეხს ტყეში შევა და დაიმალება, მეორე წინ გადგლობება მსეცს და ცდილობს იქით გააბრუნოს, სადაც ჰირველი ნახევარია დამალული და როდესაც კარგა შორს შეიტყუებენ მსხვერპლს დაეცემიან ეველა ერთათ და გემრიელ სადილს იკეთებენ. თუ ისე მოხდება რომ ტურები ნადირობით ვერას იშოვიან, მაშინ დაუწყებენ უკან დევნას დიდ მსეცებს: ღომს, ვეფხს, აფთარს და სხვათ იმ იქედით, რომ მათი ნასუფრალი მაინც იგემონ. და თუ ვერც ეს მოუხერხდათ ისევ ასტეხენ გულის-შემწარავ ემუილს და თითქოს იმ ემუილით იკლავენ შიმშილს. აღმაინისა ტურას ძალიან ეშინიან, საეპარისია კაცმა ერთი შეუუვიროს, რომ ორმოცი ტურა ფაცხა-ფუცხით აქეთ-იქით გაიფანტოს.





## ვაუკევის არწივი.



(ინდოეთის ლეგენდა)

აკვირველი ამბავი შეე-  
მთხვა ერთ პატარა ინ-  
დოელ ბიჭს, რომელ-  
საც სახელათ ერქვა ვაუ-  
კევი. ნადირობის დროს,  
კლდის ძირში იპოვა  
ფრთა მოტეხილი არწი-

ვის ბარტყი. ეს ბარტყი ეტყობოდა ჩამოვარდნილიყო ბუდიდან, რომელიც მზის წვერიდან გადმოიყურებოდა. არწივი სულ პატარა იყო, არ იცოდა ფრენა და ჩამოვარდნის დროს ძალიან დაშაფებულიყო.



ყმაწვილმა რომ პირველათ დაინახა ფრინველი, მაშინვე აიღო ხელში შეილდ-ისარი და დაუმიზნა; ამას ჯაერიც სჭირდა ამ ფრინველისა, რადგან არწივი ხშირათ ჰპარავს ინდოელებს თევზებს. ყმაწვილი უსათუოთ მოჰკლამდა კიდევ ამ ბარტყს, იმიტომ რომ შესანიშნავი მონადირე იყო, მაგრამ დაინახა თუ არა, ბარტყს ფრთა მოტეხია და შიშით თრთისო ყმაწვილმა შეიბრალა. მაშინვე შეილდ-ისარი ძირს დაუშვა, გადაგდო და დააცქერდა აცახცახებულ ფრინველს. ყმაწვილის თვალები, რომელნიც თან-და-თან ღმობიერათ და აღერსით გამოიყურებოდნენ და გაბოროტებული დაკოდილი ფრინველსა ერთმანერთს შეხედდნ და დიდხანს არ მოუშორებიათ თვალი ერთმანეთისათვის, მერე არწივის ბარტყს გაუქრა შიში, დაცხრა, მისი ბოროტი და მოშიშარი გამომეტყველობა გაქრა და ნება მისცა ყმაწვილს, რომ აღერსით ხელი გადაესვა მის გაჭუჭყიანებულ და დაშეგებულ ფრთებზე. გაშმაგებული სურვილი არწივისა, რომ ებრძოლოს მტერს, დაიცვას თავი — ყმაწვილის აღერსმა და ღმობიერებამ ცოტ-ცოტა დააწყნარა და დააშოშმინა და ამ წუთიდან ეს პატარა არწივი და ყმაწვილი ძალიან დამეგობრდნენ.

ყმაწვილმა აიყვანა ხელში დაკოდილი ბარტყი და ნელის ნაბიჯით გასწია სახლში თავის მამის ქოხისაკენ. აქ ისე ფრთხილათ მიჰყავდა ფრინველი, რომ ეტყობოდა დაშეგებული ფრთა მას სულ არა სტკიოდა; ბარტყი მშვიდად იჯდა ხელზე, არც ერთხელ არ უკრავს თავისი წვეტა ნისკარტი ყმაწვილისთვის.

მივიდა თუ არა ვაჟეგეი შინ, გაათბო წყალი, მობანა არწივს დაშეგებული ფრთა, მერე რბილი ტყავით შეუკრა და ქოხის ერთ კუთხეში სხვა-და-სხვა ბალახისაგან გაუკეთა ბუდე და შიგ ჩასვა. დედა სიყვარულით თვალს ადევნებდა შვილს. ის ძალიან გულ-კეთილი დედაკაცი იყო ყმაწვილობიდანვე უყვარდა ყველა პირუტყვი და ახლა უხაროდა, რომ შვილი მის კვალობაზე წავიდა და შვითვისა მისი მოსიყვარული ხასიათი.





თარგმანი  
გ. ბ. ლ. მ. მ. მ.

ყმაწვილის მამას-კი, როდესაც ნადირობიდან დაბრუნდა, უნდოდა არწივისთვის კისერი მოეგრია, მაგრამ შეიღმა არ დაანება; ისე ცხარეთ გამოცსარჩლა ფრინველს და ისე მამაცათ იფარავდა მას თავისი პატარა ხელებით, რომ მრისხანე მამას გაეცინა და მერე უთხრა: „ღიაცის გული გქონია“.

— კარგი, გყავდეს დროებით, უთხრა მამამ, — მოუარე სანამ კარგათ არ გახდეს. მერე-კი უნდა მოიშორო თავიდან. ჩვენ ქურდებს ჩვენსავე ქოხში ვერ გამოვზრდითო.

ყმაწვილი დაჰპირდა, რომ როგორც-კი არწივს ფრთა მოუჩჩება და შეეძლება ფრენა, მაშინვე წაეიყვან სადმე მოშორებით და გაენთავისუფლებო.

გავიდა ერთი თვე, არწივს ფრთა მოუჩჩა და ისე გაიზარდა და გაღონიერდა, რომ შეეძლო თავისუფლათ ფრენა. ამ დროის განმავლობაში ყმაწვილი თავის ხელით აჰმევდა და ასმევდა და ზრუნვას არ აკლებდა. დღითი დღე ამასთანავე უფრო და უფრო მეგობრდებოდნენ ვაუკევი და არწივი.

ბოლოს დადგა ის დრო, როდესაც ტყვე უნდა გაენთავისუფლებინათ. ყმაწვილმა თავის სოფლიდან, რაც-კი შეიძლებოდა შორს წაიყვანა, რომ ახალგაზდა მონადირეებს არ დაენახათ და არ მოეკლათ შეიღდ-ისარით. განთავისუფლებულმა არწივმა გაშალა ფრთები, მალა აფრინდა, შეჰკრა კამარა და მის სიხარულს სამზღვარი არ ჰქონდა, რომ მიეცა საშუალება თავისუფლათ ცაში ნეაღდობისა. მაგრამ დააპირა ყმაწვილმა შინ გაბრუნება თუ არა, არწივი ერთბაშათ დაეშვა ძირს და მთელი დღე დასდევდა მას, სანამ ის ნადირობდა, მერე საღამოზე, როდესაც ვაუკევი გასწია თავის სოფლისკენ არწივს უნდოდა გაჰყოლოდა, მაგრამ ყმაწვილი ერთბაშათ მიიმალა ხის ფულუროში, არწივი დიდხანს ეძებდა თავის მფარველს და მერე ნაღელიანათ წელა წელა მიიმალა ცის სივრცეში.

გავიდა ზაფხული, მერე ზამთარი და ხელ-მეორეთ დადგა ზაფხული. გაზაფხულს მოჰყვა ყვავილები, ფრინველები და აუარება



თევზები ტბებში და მდინარეებში. ამავე დროს ყველა ინდოელმა, მოხუცმა და ახალგაზდამ, მეომარმა თუ დედაკაცმა ყველამ მოამზადა სათევზაო ნაწილები თავისი ნესკავეებით და სხვა ისეთი იარაღებით, რომლითაც ეომებიან ორაგულებს და იჭერენ ჭრელ კალმახებს. დიდ ზამთრის შემდეგ ძალიან სასიამოვნოა მუშაობა მზესზე, მეტადრე როდესაც თბილი ნიაფი დაჰბერავს, ან რა შეედრება გემრიელ თევზების დაჭერას, რომელიც ათასწილათ უფრო კარგი საქმელია ვიდრე სიმინდი, ან კამბეჩის ღორი.

დიდ ჩანჩქარ აპოგოკის ზემოთ, მდინარეში ორაგულები ნავარდობდნენ და მის გაჩქარებულ შხებებში შურდულივით დასრიალებდნენ, მიცურავდნენ კლდისკენ და ისე მალლა ხტოდნენ, თითქოს აპირებდნენ ჰაერში აფრენას. არსად არ მოიპოვებოდა იმისთანა გემრიელი ორაგულები, როგორც ამ ჩანჩქარის ქვეშ. ათასში ერთი თუ გამოჩნდებოდა იმისთანა უშიშარი, რომ გაეხედნა მათი დაჭერა. წყლის მოძრაობა ისეთი ძლიერი იყო, რომ თუ ნაფი ცოტა მაინც გაიწედა აღნიშნულ ადგილიდან, შესაძლო იყო ჩანჩქარს ჩაეტანა ისეთ ღურღუმელში, რომ მას ვეღარა უშველიდა-რა.

ერთ შეენიერ აპრილის დილას, ის იყო მზე ამოხსულაზე იყო, რომ გაუყემა ჩანჩქარის ზემოთ, მდინარეში ჩაუშვა ნაფი სათევზაოთ მომზადებული და გაჰყვა მდინარეს. ვერც ერთი ინდოელი ყმაწვილი ვერა ბედავდა ჩანჩქართან ახლოს თევზაობას. მაგრამ გაუყევი სათევზაოთ აქ ხშირათ მოდიოდა, ნაფის ტარებაც შეენიერათ იცოდა, თვალი საიცრათ უჭრიდა და მისთვის ბედს არც ერთხელ არ უმტყუნია და ღურღუმელაში არ ჩაუთქავს. ამ დილით ის აქ სულ მარტო თევზაობდა, გათენცხისას წამოვიდა, რომ არაფის არ დაეწრო მისთვის.

მდინარის ნაპირები საესე იყო დიდრონი, შეენიერი ორაგულებით, რომლებიც ნაფს ორივე მხრივ უშიშრათ ცურავდნენ. გაუყევი ნესკავეებს მარჯვნივ და მარცხნივ უგდებდა თევზებს და ნაფს ავსებდა მოციმციმე კალმახებით და ზოგჯერ ორაგულებითაც. ამ თევზაობამ ისე





გაიტაცა ყმაწვილი, რომ ვერ შეამჩნია ჩანჩქარს როგორის სისწრაფით ეახლოვდებოდა და როგორ მისი ნაფი კინალამ ჩანჩქარმა სრულიად გაიტაცა. ყმაწვილმა მიიხედ-მოიხედა, საჩქაროთ ხელი სტაცა ნიჩაბს და მოუსვა აღელვებულ წყალს. ნაფი შეინძრა, გვერდზე მოიქცა, მერე პირი იბრუნა და ნელა-ნელა ნაპირისკენ გასწია. მაგრამ ამ დროს მოისმა საშინელი ხმაურობა და ვაუკეეს ნიჩაბი ხელიდან გაუვარდა, ის შუაზე გადატეხილიყო. ყმაწვილმა გამწარებულია შეჰკიეღა, დასწვდა გატეხილ ნიჩაბს და უნდოდა ამითი გაშმაგებულ წყალთან ბრძოლა. მაგრამ ეს შეუძლებელი იყო, ნაფი ღურღუმელში მიეჰანებოდა, ჩანჩქარის ხმაურობა, თითქოს დასცივისო, ისე მოესმოდა ყმაწვილს ყურში.

პატარა ინდოელს თავის დახწვევის იმედი აღარა ჰქონდა, იგი დაეცა მუხლებზე ნაფში, გულ-ხელი დაიკრიფა და ჩანჩქარს დაუწყო ყურება. მისმა სახემ სასტიკი და ამპარტავანი გამომეტყველობა მიიღო. ის აქამდის გამბედავ მეომარათ რაცხდა თავს და ახლაც გაბედულათ დაუხედებოდა სიკვდილს.

ნაფი სისწრაფით მიეჰანებოდა ჩანჩქარისკენ. წყლის ნაპირის შავი კლდეები მოჩვენებასაფით გაურბოდენ მას თვალ წინ. ჩანჩქარის საშინელმა ხმაურობამ ყმაწვილი გამოაყრუა. მაგრამ ის მაინც ამაყათ და დამშვიდებით გამოიყურებოდა და ისე მოელოდა სიკვდილს, როგორც ნამდელი მეომარი. ბოლოს ამ მოლოდინში დაიწყო ის სიმღერა, რომელიც მას შეასწავლეს მოხუცებულმა მეომარებმა.

კიდევ ორიოდ წუთი და სიკვდილი აუცილებელი იყო, მაგრამ ბავშვმა წარმოიდგინა, რომ ის წარსდგება ღეთის წინაშე უშიშრათ ამ საგმირო სიმღერით და გული გაუმავრდა. ნაფს უცბათ დაეცა რალაც ჩრდილი. ვაუკეემა აიხედა მალლა და დაინახა ზემოდან წამოსული დიდი არწივი, რომელსაც ფეხები ძირს დაეშვა, ფრთები განიერთ გაეშალა და მზეს აჩრდილებდა. ყმაწვილის და არწივის თვალები ერთმანერთს შეხედდენ, არწივს ძლიერი შეხედულობა ჰქონდა.

სიხარულით ერთი შეჰკიეღა ვაუკეემა და წამოვარდა ფეხზე, არ





წივი უფრო ძირს დაეშვა. ამ წამს დიდმა ტალღამ შთანთქანა, მაგრამ ყმაწვილმა მოასწრო ხელების გაწვდენა და არწივს ფეხებზე ჩამოეკიდა. ერთი წამი საკმარისი იყო და ყმაწვილი მაღლიდან დასცქეროდა ამ ღურღუმელს. მისი ნაღი მიიმაღლა ჩანჩქრის ტალღებში. ვაუკევი და არწივი, რომელმაც რაც ძალა და ღონე ჰქონდა მოიკრიფა ყმაწვილის გადასარჩენათ, მიფრინავდნენ ცისკენ და შორდებოდნენ აქაფებულ წყლის ომხივარს. ჩანჩქარი-კი საშინლათ ღრიალებდა, თითქოს გარეუ-

ლი მხეცია, რომელსად დავლა წაართვისო. წყლის წინწყლები იფანტებოდა აქეთ-იქით, ქარი შიგ სახეში უბერავდა არწივს და ყმაწვილს მაგრამ დიდი ბრძოლის შემდეგ არწივმა თავისი ტვირთით თავი დაახწია ბურუსს. თავისი ვეებერთელა ფრთებით არწივი შუილით ჰაერს აპობდა. მალე ნელა-ნელა ძირს დაიწყო წვეა, საშიში წყლის ღურღუმელის მოშორებით. ბოლოს რამდენჯერმე შემოჰკრა ფრთათა და დაეშვა ჩანჩქარს ქვემოთ ქვიშაზე, ორიენი არწივიც და ყმაწვილიც დასუსტებულნი, უგრძნობლათ დაეცნენ მიწაზე. ცოტა ხანს შემდეგ არწივი მოვიდა გონს, გაშალა ფრთები და გაჰქრა ცის სივრცეში, ინდოელი ყმაწვილი დაჩოქილი თვალს არ აშორებდა დიდ ფრინველს, სანამ ის სრულიად არ მოეფარა უზარმაზარ მთებს.

ან. წყნეთლისა.

(თარგმანი)





## კასტარა დედოფალი.

### VIII

ჭერცოვის ქვრივი კიდევ მზდამნებლას.

ჭერცოვის ქვრივი დიდ ფაცი-ფუცში იყო. ის ათასნაირ ბრძანებას აძლევდა მოსამსახურეებს, რომ ბარგი რაც შეიძლება საჩქაროთ ჩაეღაგებინათ. მეორე დილით აღრე აპირებდა წასვლას.

ამ დაღაგებაში ჭერცოვის ქვრივი ნელ-ნელა დამწვრილდა და ბოლოს სინანულშიაც შევიდა: — რას ვეჩქარებოდი სამსახურის თავის დანებებას — თქვობდა ის — იქნება კიდევ ვუშველო საქმეს და ისევ დაერჩე სეფე ქალათ? ამ დროს მას შემოესმა ლენერალ რადიკის ხმა, რომელიც ჯარის კაცებს უბრძანებდა. — „ღელაკასსიში ძმებო.“ ჭერცოვის ქვრივს შიშის ზარი დასცა ამ ხმის გაგონებამ, ის მიხვდა ყველაფერს!

— ოხ, რა სულელურათ მოვიქცე! წაილაპარაკა იმან — მე შემეძლო ეს თავიდან ამეცდინა, მაგრამ ახლა... ღე იმან წარ-

მოიდგინა პრინცი ბორისი, რომელიც ლენერალ რადიკის წინამძღოლობით შემოვიდოდა ცარკოვში, როგორც გამარჯვებული თვით





მკვრობელი და სიბრაზისაგან სახე დამანჭა. მაგრამ ის ისეთი ძლიერი ხასიათის ადამიანი იყო და ისე დიდათ მიაჩნდა უფროსი სეფე-ქალობა, რომ გადაწყვიტა უკანასკნელი ღონეც ეხმარა.—მე არ მიეიყვან იქამდის საქმეს, რომ პრინცი ბორისი გამეფდეს! მაგრამ რა მოვახერხო მართო მე? ეკითხებოდა ის თავის თავს და პასუხი არსაიდან ჩანდა. ბოლოს მოწყდა, დაიღალა და დაწვა იმ გადაწყვეტილებით, რომ დილაზე ადრე აედგები და წავალ, ეს უმჯობესი იქნებაო!

საწყალი ჰერცოგის ქერიეი, შამფურივით ტრიალებდა ლოგინში და ძილი ვერ მოეხერხებინა. უცებ გაღებულ ფანჯრიდან მოესმა ღამის დარაჯის ხმა, რომელიც რაღაც სხენაირი სიტყვებით ლაპარაკობდა. გაოცებულმა და შეშინებულმა ჰერცოგის ქერიემა ყური დაუგდო, მას უნდოდა მეორეთ გაეგონა დარაჯის სიტყვები. თუმცა დიღხანს მოუხდა ცდა, მაგრამ ბოლოს გარკვევით გაიგონა პრასკის ხმა: „გინ მოღის“. იმავე წამს ეილამაც, იმავე ენაზე, უპასუხა: „ამხანაგი“.

ჰერცოგის ქერიეი უცებ წამოხტა ლოგინიდან და შეშინებით წამოიძახა:

— პრასკები! ღმერთო ჩემო, პრასკები დარაჯობენ სასახლის კარებს! რას ნიშნავს ეს? იმან საჩქაროთ დაიწყო ჩაცმა და თან ფიქრობდა: უთუოთ ბარბუცკმა გაიგო, რომ რადიკი დელაკასიში წავიდა და სურს ამ შემთხვევით ისარგებლოს და უპატრონო ქალაქი დაიპყრას, მაგრამ სასახლეში მაინც არ შემოგუშვებ რაც უნდა დამემართოსო!

ჰერცოგის ქერიეი ფაცი-ფუცით გამოვიდა ოთახიდან, გაემართა სამეფო ოთახებისაკენ და სასახლის ღამის დარაჯს უბრძანა, ყველა მოსამსახურეები გაეღვიძებინა და შეეკრიბა დიდ საცეკვაო დარბაზში. ჰერცოგის ქერიეს სრულიად გადაევიწყდა, რომ ის სეფე-ქალათ აღარ ითვლებოდა. არ გაუფლია ხუთ წამს და შეშინებული, ფერდაკარგული მოსამსახურეები, ხელში სანთლებით შეიკრიბნენ დანიშ-



ნულ ადგილს—იქ მობზოდენ შიშისაგან გაფითრებული ხელზე მოსამსახურეთა უფროსები, თავ-გაწეწილი მეჯინიბეები, ნამძინარევი ხელზე მოსამსახურენი, აკანკალებული მზარეულები და სხვა.

ჰერცოგის ქვრივმა რამდენიმე სიტყვით აუხსნა თუ რისთვის შეჰყარა ისინი ამ დროს.

— პრასკებით ამსილა ჩვენი ქალაქი და, უეჭველია, სასახლე-საც დაეცემიან. იმედია თქვენ არ მისცემთ ამის ნებას—გარკვევით და ხმა მაღლა მიმართა იმან ყველა მოსამსახურეთ.

ორიოდე მოსამსახურემ კიდევ დააპირა, რომ ყვირილი დაეწყო, მაგრამ ჰერცოგის ქვრივმა შეაჩერა.

— ხმა, კრინტი! როგორ შეიძლება ამ დროს დედოფლის შეშინება! ჩუმად უნდა დავემზადოთ მტრის დასახვედრათ. შეაგროვეთ ერთ ადგილს ყველა იარაღი და მეც ახლავე აქ მოვალ.—თქვა ჰერცოგის ქვრივმა და გამოვიდა ოთახიდან. იმან დაწვრალებით დაათვალიერა ყოველი ოთახი ძირისა და ზევითა სართულისა—გარდა დედოფლის საწოლი ოთახისა.—გაშინჯა ყველგან საკეტები, შემდეგ მოსამსახურეებს გაუნაწილა იარაღები, ერთი დააყენა დედოფლის ოთახის კარებთან, გასცა ბრძანება, რომ თუ რამე ხმაურობა ატყდეს საჩქაროთ გამაღვიძეთო და გაეძანა თავის საწოლ ოთახისაკენ; ჩაწვა ლოგინში თუ არა იმ წამსვე დაეძინა.

ძილში რა არ ესიზმრა, საცოდავს: ხედავს რომ მოაქვნებს შიკრიკი და ეუბნება:—„თქვენო ბრწყინვალეებო, პრინცი ბორისი და რადიკი ერთათ ემზადებიან ცარკოვში მოსასვლელათო“. მეორე შიკრიკი შემოჰყვება პირველს და აცხადებს:—„ისინი უკვე საზღვარს გადმოვიდნენო“. ახლა სხვა დაიძახებს: „აგერ ქალაქში კიდევ შემოვიდნენო“. ამავე დროს გაისმა ხალხის აღტაცებული ხმა—ისინი ეგებებიან ხელმწიფე ბორისს და სიხარულით ეაშა-ეაშას გაიძახიან. ბოლოს ჰერცოგის ქვრივი თავის თვალთ ხედავს დიდ სახელმწიფო ეტლს, რომელშიაც პრინცი ბორისი, თეთრს ბუმბულებიან სახელმწიფო ქუდით სალამს აძლევს გახარებულ დამხდურ ხალხს. ეტლი



სასახლეს მოუახლოვდა და გაჩერდა. ჰერცოგის ქერიეი შეხტა და გამოედიოდა. ამ დროს იმის ფანჯარასთან, მართლა დიდმა ეტლმა გაიარა. ჰერცოგის ქერიემა გაახილა თვალები და გაოცდა! უკვე გათენებულყო! ნუ თუ პრასკები ჩუმად არიან და არ ცდილობენ სასახლის აღებას! ან ეისი ეტლი იყო ასე ადრინათ სასახლიდან მიმავალი?! გაიფიქრა მან და საჩქაროდ წამოხტა ლოგინიდან, მივიდა ფანჯარასთან და ასწია ფარდას. სასახლის სადარაჯოზე იდგა ძველი-ვით გამოჭიმული პრასკების ჯარის კაცი.

— მე არ შეემცდარეარ—პრასკები ქალაქში არიან! მაგრამ რას ნიშნავს ყველა ეს? წაილაპარაკა ჰერცოგის ქერიემა და საჩქაროდ გამოვიდა ოთახიდან და დაიარა ყველა ოთახები. მოსამსახურეები იდგნენ თავ-თავის ალაგას ისე, როგორც ნაბრძანები ჰქონდათ და ყველა ერთნაირ პასუხს იძლეოდა: მთელ ღამეს სიჩუმე იყო—ხმა არავის გაუღიაო.

— ის ეისი ეტლი იყო, ამ ათი წუთის წინეთ, რომ სასახლის გზოდან გავიდა? ჰკითხა ჰერცოგის ქერიემა დარაჯთა უფროსს.

— გრაფინია როზენბერგის ეტლი იყო, თქვენო ბრწყინვალეებო, — უპასუხა მან. — ბევრს ეგებეწეთ რომ ქალაქში დარჩენილიყო, ეუთხარით რომ ახლა საშიშია მგზავრობა, შეიძლება ხიფათი რამ შეგემთხვეო, მაგრამ არა ქნა; მიბრძანეს და უნდა აეასრულოო.

— გრაფინია როზენბერგი?! გაოცებით წარმოთქვა ჰერცოგის ქერიემა. მართალია წინა დღეს გამოუცხადა ჰერცოგის ქერიემა გრაფინიას — სეფე-ქალობიდან დამითხოვნისარ და ცარკოვიდან წადიო, მაგრამ მას შემდეგ იმდენი ახალი რამ მოხდა სასახლეში, რომ ჰერცოგის ქერიეს სრულიად გადავიწყდა ეს და ახლა, როდესაც გაახსენეს, სახეზე ყვითელმა ფერმა გადაჰკრა: ერთიც ენახათ რამე შეგემთხვას ამ არეულობის დროს—ხომ მიზეზი მე ვიქნები, მაგრამ რა ექნა, რაც უნდა დიდი კაცის ჩამამავალი იყოს ერთი ქალის გაწირვა სჯობს მთელ სახელმწიფოს გაწირვას—უნდა ჯერ სახელმწიფოზე ვიფიქროო—გაიფიქრა მან და დაეკითხა დარაჯთა უფროსს.



— სად არის ბარონ ხიხკრიჩი?

ბარონ ხიხკრიჩი შესანიშნავი ყმაწვილი კაცი იყო თავისი გამბედაობით და ჰერცოგის ქერიემაც იმას მიანდო ამ ღამეს სასახლის ყურისგდება.

— ბარონი ციხის ბანიდან ათვალბერებს ადგილებს, თქვენო ბრწყინვალეებავ! თუ მიბრძანებთ დაეუძახებ?

— არა მე თითონ წავალ. თქვა ჰერცოგის ქერიემა და გამოვიდა დარბაზიდან. მეორე ოთახშივე ბარონი წინ შეეფეთა.

— თქვენო ბრწყინვალეებავ! დაიწყო შეწუხებული სახით ბარონმა. — გრაფინია როზენბერგისა წაბრძანდა დღეს ქალაქიდან, მარტო-მარტო, მერე ამისთანა საშიშარ დროში.

— ძალიან ეწუხვარ, უბასუხა ჰერცოგის ქერიემა, მაგრამ რადგან მაგას ახლა აღარა ეშველება რა, ამიტომ..

— თუ თქვენი ბრწყინვალეება ნებას მამცემს ახლავე გავგზავნი ცხენოსნებს და ისინი..

— ცხენოსნები?! დაფიქრდით, ბარონო, რას ამბობთ! განა არ იცით, რომ ყოველი ცხენოსანი ჩვენთვის რა ძვირფასათ ღირს ახლა, ამ გაჭირვებაში?

— მაშ მე მომეცით ნება, თქვენო ბრწყინვალეებავ, მოვეწიო გრაფინიას და დაეაბრუნო, ახლავე თორემ მერე გვიან იქნება.

— არაფრის გულისთვის ნებას არ მოგცემთ, წარბ-შეკერით უბასუხა ჰერცოგის ქერიემა — თქვენი ადგილი აქ არის, სასახლეში, უთქვენოთ სასახლის საქმე ცუდათ იქნება.

— მაგრამ, თქვენო ბრწყინვალეებავ, დაფიქრდით რა საშიშია...

— კმარა, კმარა ამაზე ლაპარაკი — მოუთმენლათ შენიშნა ჰერცოგის ქერიემა — თქვენ ეს მითხარით ციხიდან ხომ არა შეგინიშნეთ-რა? ხომ მშვიდობიანიება?

ბარონი წარბ-შეკრული სიბრაზისაგან ტუჩებს იკენებდა. უცებ თითქო რაღაც მოაგონდაო სახე გაუწათლდა.

— მე ამ წამშივე დაებრუნდები — ამ წამშივე, თქვენო ბრწყინ-



ვალეებაჲ, უპასუხა ბარონმა, უცებ გაბრუნდა და თვალიდან გაუქრა  
გაოცებულ ჰერცოგის ქერიეს, რომელიც გაბრაზებული უკან დაე-  
დენა. ორიოდ წუთს შემდეგ იმას ბარონი ისევ წინ გამოეჭიმა.

— მომიტევეთ, თქვენო ბრწყინვალეებაჲ, რომ თავი დავანებეთ,  
მაგრამ მიზეზი ის იყო, რომ ჩრდილოეთის მხარედან რაღაც ხმაუ-  
რობა შემომესმა და მომაგონდა, რომ ეს მხარე სასახლისა საიმედოთ  
არ არის გამაგრებული და ამიტომ გიანჯელით ისე სწრაფათ. მაღლობ  
ღმერთს, ჩემი შიში ტყუილი გამოდგა. თავის-დაკერით მოახსენა ბა-  
რონმა.

— სიფრთხილეს თავი არ ასტკივაო, ნათქვამია — სიამოვნებით  
შენიშნა ჰერცოგის ქერიემა. — რას აპირებენ პრასკები, ბარონო? რო-  
გორც ვატყობ ჯერ არაფერი დაუშაგებიათ-რა, მაგრამ სასახლის  
გარშემო რომ მათი ჯარის-კაცები გეახნევიან?

— სასახლის გარშემო-კი არა, თქვენო ბრწყინვალეებაჲ, იმათი  
ჯარის-კაცებით მთელი ქალაქია საესე. ამას გარდა შემოსავალ კა-  
რებთან გადააყენეს ჩვენი ღარაჯები, რომელნიც, სწორე რომ მო-  
გახსენოთ, ძილის მეტს არას აკეთებდენ — და თითონ პრასკები დგა-  
ნან. იქვე დაუდგამთ დიდი ზარბაზანი, რომლის ტუჩი დელაკასისა-  
კენ არის გაშვებული.

— რას ნიშნავს ყველა ეს? შეჰყვირა გაოცებულმა ჰერცოგის  
ქერიემა — პრინცი ბარონის შემოყვანა ხომ არ უნდათ, რომ მერე...

— პრინცის შემოყვანა რომ უნდოდეთ, თქვენო ბრწყინვალე  
ებაჲ, ზარბაზნის ტუჩს იქით რათ უზამდენ. ამას გარდა განა არ იციან,  
რომ მათი დამმარცხებელი მტერი რადიკი ახლა პრინცის მხარეზეა  
და გიჟები ხომ არ არიან რომ იმათ მიეშველონ! უპასუხა ბარონმა.

— თქვენ მართალს ამბობთ, მაგრამ ამიხსენით, თქვენის აზრით  
რას ნიშნავს მათი საქციელი?

— იქნება თქვენ ჩემი სიტყვები ჩემ გამოუცდლობას მიაწე-  
როთ, თქვენო ბრწყინვალეებაჲ, მაგრამ მაინც მოგახსენებთ — ამბო-  
ბენ, რომ პრასკები, როგორც შეურაცხყოფას — ისე სიკეთეს თავის



დღეში არ იფიწყებენ თურმე. გუშინ მათმა უდიდებულესობამ და-  
 ისნა სიკვდილისაგან პრასკების უფროსი, მისი ცოლი და თითქმის  
 შვილიც.

— ოჰო, წარმოთქვა სიხარულით ჰერცოგის ქერიემა—მაშ თქვენ  
 გგონიათ რომ ისინი ჩვენ საშველათ მოვიდნენ?

— სხენაირათ არ აიხსნება მათი ქცევა, თქვენო ბრწყინვალე-  
 ბე. იმათ გააგეს, რომ ჯარი შემოგეწყრა, გაიგეს რომ უპატრო-  
 ნოთ ვიყავით და ასე მშვიდობიანათ დაგეტოვეს. ზარბაზნის ტუჩი  
 დელაკასიკენ მიაბრუნეს, თითონ მათი უფროსი ბარბუცკი მთელ  
 ლამეს დარაჯობდა დედოფლის ოთახებს, განთიადისას თითონ მოუ-  
 ტანა დედოფალს ყვავილების თაიგული. იცით რომ იმ ყვავილებს  
 ბედის ყვავილს ეძახიან და ვინც...

— ბევრი არიან პრასკები ქალაქში შემოსული? გააწყვეტინა  
 ჰერცოგის ქერიემა.

— თითქმის ყველა, ვისაც-კი იარაღის ხმარება შეუძლიან. მი-  
 უგო ბარონმა.

ჰერცოგის ქერიემა თავისუფლათ ამოისუნთქა.

— თვით განგება უფლისა გვიწყობს ხელს—შეჰყვირა იმან--  
 თქვენ როგორ ფიქრობთ ბარონო, შეუძლიანთ პრასკებს, დაგვიც-  
 ვან რადიკის თავდასხმისაგან?

— ძნელია მაგის გამოცნობა, თქვენო ბრწყინვალეობე, პრასკე-  
 ბი ძალიან გულადი მეომრები არიან, მაგრამ ბარათ ბრძოლა იმათ-  
 თვის ახალი ხილია. სულ სხვაა მთაში ომი.

— ნეტა რამდენსამე დღეს შეაჩერონ ბრძოლა და მერე იმედი  
 მაქვს ჯარი მოგვეშველება—დაფიქრებით წაილაპარაკა ჰერცოგის  
 ქერიემა. — უბრძანეთ ორი საიმედო შიკრიკი მოემზადონ, ამოურ-  
 ჩიეთ ორი ღონიერი ცხენები და მე წერილებს დაეამზადებ. მინამ-კი  
 უნდა თვით ბარბუცკი ენახო და მოველაპარაკო. რა კარგია რომ  
 პრასკების ენაზე ცოტ-ცოტა ელაპარაკობ.

ჰერცოგის ქერიემა გამობრუნდა და თავმოწონეთ გაიარა რამ-



დენიმე ოთახი. როგორც უნდა კიბეზე ჩაედგა ფეხი უკან დაეწია დედოფლის მოსამსახურე გოგო.

— ოჰ, თქვენო ბრწყინვალეება! შეჰყვირა იმან—ღვთის გულსთვის...

— მერე, მერე, უპასუხა ჰერცოგის ქვრივმა—ახლა არა მცალიან—და გაემართა კიბისაკენ.

— თქვენო ბრწყინვალეება, მისი უდიდებულესობა, დედოფალი...

ჰერცოგის ქვრივი შეკრთა.

— რა ამბავი დედოფლის თავს? შიშით დაეკითხა ის.

— ის ავით არის, თქვენო ბრწყინვალეება, ძალიან ავით.

## IX

### მშვენიერ სახლშია დაბრუნებული.

ჰერცოგის ქვრივი გააფთხა ამ ამბავმა. დედოფლის ავით-მყოფობამ-კი არ შეაშინა, სასოება დაუკარგა; თითქო ფეხ-ქვეშ მიწა ენგრევაო, მუხლების კანკალით გაემართა დედოფლის ოთახისაკენ და როდესაც ნასკას გაყვითლებული სახე დაინახა შიში გაუათკეცდა. თეთრი თაიგულით ხელში, საეარძელში გადაწოლილი ნასკა ნამდვილ ცხედარს მიაგადა. ჰერცოგის ქვრივი გულმაგრათ ემზადებოდა გმირ რადიკის წინამძღოლობით მოსულ პრინც ბორისთან საბრძოლველათ და სრული იმედი ჰქონდა, რომ გაიმარჯვებდა კიდეც, მაგრამ მთლათ მოიშალა, ღონე და ენერგია დაეკარგა, როდესაც წარმოიდგინა ის მტერი, რომელიც აგერ ათი წელიწადია დაბრუნებული იყო ნასკას სხეულში და ნელ-ნელა, ჩუმათ ამოკლებდა პატარა დედოფლის სიცოცხლეს. საწყალი ნასკა დაბადებიდან სუსტი აგებულიების ბავში იყო. ჰერცოგის ქვრივი მალე მოვიდა გონს და საჩ.





ქართ დაუძახა სასახლის უფროსს ექიმს. ექიმმა გაშინჯა დედოფალი და გამოაცხადა: თუმცა უიმედო ავთომყოფი არ არის, მაგრამ ძალიან საშიში-კი არისო.

— მის უდიდებულესობას ეჭირება ძილი და სიჩუმე. არაფრის-გულისთვის არ ააღელვოთ, თორემ ძალიან აწყენს, თავი და თავი ის არის, რომ გულ-დამშვიდებით დაეძინოს.

— აღელვება აწყენს! გაიფიქრა ჰერცოგის ქვრივმა, რანაირათ გავეთხილდე, როდესაც ყოველ წამს ევლით მტრის თავდასხმას.

პატარა დედოფალი, თითქმის გულ-დამშვიდებულიაო, ისე იყო გაჩუმებული და არ ინძრევდა. ის უსიცოცხლო თვალებით მიშტერებოდა ყურისმგდებელ ქალებს და სხვა მომეღელეებს, რომლებიც ფეხის თითებზე დადიოდნენ, რომ ფეხის ხმაურობით არ შეეწუხებინათ ძვირფასი ავთომყოფი. შეჰყურებდა საწყალი პატარა გოგონა და გულში-კი ნატრობდა: ნეტავი ერთი ვინმე საკუთარი ნათესავი მომცა, რომელსაც ვუყვარდე, როგორც მხოლოდ ნათესავი და არა დედოფალიო. ენატრებოდა საცოდავს ერთგული ადამიანი და ამ დროს უცებ მოაგონდა გრაფინია როზენბერგი, თავი მალლა აიწია და ჰერცოგის ქვრივს ხელი დაუქნია, ის უცებ გაჩნდა მის ლოგინთან.

— გრაფინია? ძლივს წაილაპარაკა ნასკამ — სად არის გრაფინია?

— ლაპარაკი გაწყენსთ, თქვენო უდიდებულესობაჲ — უპასუხა ჰერცოგის ქვრივმა, რომელიც ცდილობდა ლაპარაკის კილო შეეცვალა — ექიმი...

— მე მსურს გრაფინია როზენბერგის ნახვა — მოუთმენელათ გააწყვეტინა ნასკამ — ახლავე გაგზავნეთ იმასთან ვინმე.

— მე ძალიან საწუხრათა მაქვს, რომ ვერ ვასრულებ თქვენი უდიდებულესობის ბრძანებას — უპასუხა ჰერცოგის ქვრივმა, რომელიც დამნაშავეთ გრძნობდა თავს — გრაფინია როზენბერგი სასახლიდან წავიდა.

— წავიდა? რათა? როდის?

— დღეს დილით ადრე, თქვენო უდიდებულესობაჲ!



— მითხარით რათ? რისთვის?

დედოფალს ალელეება დაეტყო, ის თან-და-თან ხმა მაღლა ცლა-პარაკობდა.

— თქვენო უდიდებულესობაჲ, გვევდრებით ნუ ილაპარაკებთ — შენიშნა ჰერცოგის ქვრივმა — ექიმი ამბობს რომ...

— რათ წავიდა? დაჟინებით გაიძახოდა ნასკა.

— თქვენ კარგათ იცით, თქვენო უდიდებულესობაჲ, რომ გრაფინია ისეთი თავ-დაუჟერელია, რომ მისი სასახლეში დატოვება არ შეიძლებოდა და მე...

— და თქვენ უბრძანეთ იმას, რომ წასულიყო? წარბ-შეკვრით იკითხა დედოფალმა.

— დიახ, თქვენო უდიდებულესობაჲ. ის... მე...

— ამავე წამში გაგზავნეთ კაცი, რომ გრაფინია დაბრუნდეს!

— თქვენო უდიდებულესობაჲ, გვიანდაა, ვეღარ მოეწევიან. გრაფინია უეჭველია ახლა გადასული იქნება ჩვენ საზღვარს.

— მე თქვენ გუებნებით ამავე წამში გაგზავნეთ კაცი! მტკიცეთ გაიმეორა დედოფალმა.

ჰერცოგის ქვრივს კიდევ უნდოდა როგორმე დაერწმუნებინა ნასკა, რილასიც თქმას აპირებდა, მაგრამ ამ დროს შემოვიდა ექიმი და ხელით ანიშნა ხმა არ ამოეღო.

— მე არ გითხარით, რომ ყოველი სურვილი მისი უდიდებულესობისა უნდა აასრულოთ? — უჩუჩრჩულა ექიმმა ისეთი დამშვიდებული, ბრძანებითის კილოთი, რომლის წინააღმდეგ აღარათრის თქმა შეიძლებოდა. — იცოდეთ მე ექიმობაზე ხელს ეიღებ, თუ კიდევ რამეზე ეტყევიტ დედოფალს უარს.

ჰერცოგის ქვრივმა თავი ჩაღუნა და საჩქაროთ გამოვიდა ოთახიდან. დერეფანში შეხვდა მოსამსახურეს, რომელიც ღამე დედოფლის ოთახს ღარაჯობდა. იმან საჩქაროთ მიმართა მოსამსახურეს შემდეგი კითხვით:

— ამ დილას ვინ იყო დედოფალთან?



— მომიტევეთ, თქვენო ბრწყინვალეებავ — უპასუხა მსახურმა — მე არაფერ შემიშვია.

— თქვენ კიდევ მატყუებთ! გაბრაზებით შეჰყვირა ჰერცოგის ქვრივმა — მაშ საიდან გაჩნდა დედოფლის ოთახში ყვავილების თაიგული?

— არა... არ... ვიცი თქვენო ბრწყინვალეებავ — უპასუხა მოსა. მსახურემ აკანკალებულის ხმით — არაფერ არ შესულა გრაფინია როზენბერგის მეტი, ის მოვიდა გათენებისას და...

— კიდევ გრაფინია! დაფიქრებით წაიბუტბუტა ჰერცოგის ქვრივმა — ნუ თუ ის...

ჰერცოგის ქვრივს ფეხის ხმა მოესმა, საჩქაროთ გაბრუნდა და წინ-კი გრაფინია როზენბერგი გამოექცია.

— ეს რას ნიშნავს გრაფინია? გაკვირვებით დაეკითხა ჰერცოგის ქვრივი საგზაო ტანისამოსში კოხტათ გამოწყობილი გრაფინია როზენბერგს.

— მე... იმათ... ბუტბუტებდა გრაფინია და ეკრ მოეხერხებინა რა ეპასუხნა. ამ დროს მას მოეშველა ბარონი ხიხკრიჩი.

— საპატიო საბუთი აქვს გრაფინიას, რომ დაბრუნდა, თქვენო ბრწყინვალეებავ! შენიშნა ბარონმა. — პრინცი ბორისი ცარკოვში შემოვიდა.

— აჰა! წარმოთქვა ჰერცოგის ქვრივმა და სახეზე რაღაც გაბედული გადაწყვეტილება გამოეხატა. — პრასკები ხომ არ გადაგელობენ წინ გრაფინია და იმათ ხომ არ დაგიშალებს აქედან წასვლა? დაეკითხა ის როზენბერგს.

— არა, თქვენო ბრწყინვალეებავ, უპასუხა გრაფინიამ.

— თითონ ბარბუცკი კიდევ ელაპარაკა გრაფინიას. წარმოთქვა ბარონმა — იმან თქვა: აქ იმიტომ მოვედი, რომ დედოფალი დაეცემა მტრისაგანაო და გრაფინიას თხოვა ბედის-ყვავილების თაიგული დაეღვა დედოფლის ოთახში. თქვენ უეჭველია გაგიგონიათ, თქვენო



ბრწყინვალეებად, რომ პრასკები მაგ ყვავილს მშვიდობიანობის მო-  
მასწავებელ ყვავილათ თელიან?

— მე ახლავე წაღალ ბარბუცკთან და მოველაპარაკები—გააწყ-  
ვეტინა ჰერცოგის ქერიემა. —ბარონო გთხოვთ თან გამომყვეთ. თქვენ  
კი, გრაფინიან, მიბრძანდით დედოფალთან, როგორც-კი გამოიცეა-  
ლოთ თქვენი საგზაო ტანისამოსი. მის უდიდებულესობას უნდა თქვე-  
ნი ნახვა. მხოლოდ გაფთხილდით, ფრთხილათ ელაპარაკეთ, რითიმე  
არ ააღელვოთ. ის ძალიან ავით არის.

გრაფინიას სახე მოუღრუბლა ჰერცოგის ქერიის სიტყვებმა.  
ოხ, რას არ მისცემდა გრაფინია, რომ ეს საშიში შინ დაბუდებული  
მტერი მისი საყვარელი პატარა დედოფლისა—ტლექი—ჰოეშორები-  
ნა, მაგრამ რა შეეძლო, მასთან საბრძოლველათ თვით გამოჩენილი  
ეკიმებიც-კი უღონონი იყვნენ.

ს. ციციშვილი.

(შემდეგი იქნება)





## ცეისი და ალციონა.

(ოვიდიუსიდან)



რახინის ახალგაზდა მეფის ცეისის და მეუღლე მისი ალციონას კეთილ-განწყობილება, ერთი მეორეს უსაზღვრო სიყვარული ყველასაკან სამაგალითოთ იყო აღიარებული. ცეისი მთელი თავისი არსებით ალციონას ეკუთვნოდა, ალციონა-ცეისს. ტრახინელთა მკვიდრნი, დიდი და პატარა, კარგათ გრძნობდენ სამეფო ოჯახის კეთილ-გონიერ განწყობილებას, ამიტომ ყველანი დიდის სიყვარულით და პატივისცემით ეპყრობოდენ ახალგაზდა ცოლ-ქმარს. თვითოეული ტრახინელი ოჯახის უფროსი თავის კერძო ცხოვრების კეთილ-დღეობას აწესრიგებდა სამეფო ოჯახის მაგალითის მიხედვით. ახალგაზდა მეფე სული და გული იყო თავის მოსიყვარულე ერისა, იგი მუდამ დღე საერო წარმატების ზრუნვაში იყო, მთელს თავის ძალ-ღონეს საზოგადო საქმეს ახმარებდა.

მეფემ ერთხელ გარდასწყვიტა კლაროსში ზღვით გამგზავრება. ცეისს ჰსურდა გაეგო აპოლონ ღმერთისაგან ტრახინის სამეფოს მოელოდა რამ განსაცდელი თუ არა. მეფემ ეს გარდაწყვე-



ტილება გამოუცხადა თავის საყვარელ მეუღლეს, ალციონას. ცეისის გარდაწყვეტილებამ დედოფალს თავ-ზარი დასცა. უსაზღვროთ მეფის მოსიყვარულე დედოფალი შეშინდა და მთელი სხეულის ცახცახით საზარლათ ქვითინი მორთო. ალციონას თითქო გულმა უგრძნო, რომ მეფის გარდაწყვეტილებას ცუდი შედეგი მოჰყვებოდა, და ამიტომაც იგი ისე დამწუხრა ცეისის შორეულის გზით გამგზავრებამ.

— ჩემო ძვირფასო, ჩემო კარგო მეგობარო! ცრემლების ღაპაღუპით საცოდავად ქვითინებდა ალციონა. განა შეეძლებ უშენობას, განა შენი ერთი წამითაც განშორებას შეეძლებ! ჩემო უძვირფასესო მეგობარო, მე გულს მიკლავს, სულს მიხუთავს შენი ასეთი სამძიმო გარდაწყვეტილება, მე მაშინებს შენი შორეული გზა და ისიც ზღვით! განა არ იცი, ჩემო კარგო, როგორი საშიშია მოგზაურთათვის ზღვის შეუბრალებელი ზვირთები!

— ზღვის გაუმაძღარი უფსკრული გვირგვინოსნებსაც არ დაინდობს, და სამუდამოდ გულში ჩამიკლავს უსაზღვრო სიყვარულს, სამუდამოდ გულიდან ამომგლეჯს ჩემს ძვირფასს მეგობარს, ჩემს ძვირფასს არსებას! ჩემო კარგო, თუ წაუსვლელობა მაინცა-და-მაინც შეუძლებელია, მეც თან წამიყვანე, მეც შენთან ერთად გავიზიარებ მოგზაურობის ჭირსა და ღვინს. დეე, შეუბრალებელმა ზღვის ზვირთებმა შენთან ერთად მიმიბაროს თავის გაუმაძღარ უფსკრულში! დეე, მეც იქ დავიმარხო, საცა ჩემი ერთგული მეგობარი სამუდამო მყუდრო ბინას მოსძებნის!

ცეისი მეტად ჩააფიქრა ალციონას გულ-საკლავმა სიტყვებმა, მაგრამ თავისი გარდაწყვეტილება მაინც არ შესცვალა. ცეისს ღრმად სწამდა, რომ შორეული გზით ზღვაზე მოგზაურება საშიში იყო და ამის გამო იგი ვერ ჰხედავდა ალციონას თან წაყვანას. ახალგაზდა მეფემ დიდის გაჭირვებით დაარწმუნა დედოფალი, რომ იგი სულ მოკლე ხანში უვნებლად დაბრუნდება სამშობლოში.

საგზაოთ გამზადებული გემი ზღვის ნაპირას იდგა. ტრახინის





საქართველოს  
საზღვრო დაცვა

რჩეულნი ზღვაოსანნი მოუთმენლათ გამგზავრებას მოელოდნენ. ალციონას გემის დანახვაზე თვალთ ცრემლების ნაკადული წასკდა და მწარეთ ქვითინი მორთო, თითქო თავისი უბედურება წინათვე იგრძნო. ცეისი დიდხანს და დიდხანს სიყვარულის კილოთი ეალერსებოდა დედოფალს. ალციონა სრულიად უხმოთ ამცნებდა საყვარელ მეგობარს თავის უღრმესს მწუხარებას და გულამოსკენით საცოდავთ იცრემლებოდა. დადგა განშორების საათიც. მეფე-დედოფალმა უკანასკნელი „მშვიდობით“ უთხრეს ერთი მეორეს და განშორდნენ. ზღვაოსნებმა ერთგულათ მოუსყეს ნიჩბები წყლის ზეირთებს და ტრახინელ მეფის სამგზავრო გეპი ტალღებში შეაცურეს. გემი ელვასავით მიცურავდა თვალ-უწვდენელ ზღვის სიერცეზე.

ალციონა დიდხანს, დიდხანს მწუხარეთ გასცქეროდა ზღვის ტალღებს, რომელიც ისე გამალებით მიაქროლებდნენ ტრახინელ მეფეს შორეულ უცნობ მხარესაკენ.

მძლავრი მენაფეების ნიჩბების გამალებით ტრიალმა გემი საჩქაროთ მოაცილა სამშობლო ნაპირებს. მთელი დღის განმავლობაში ზღვას საამური ნიაფი დაჰქროლავდა. ცა ერთიანათ მოწმენდილი იყო. გემი მარდათ მისრიალებდა დაწყნარებულ ზღვის სიღრმეში. მოახლოვდა საღამო. უეცრივ დასაველეთით ამოვარდა მძლავრი ქარი. ზღვა ერთიანათ შეშფოთდა, შეტორტმანდა. ელვა, ჭექა და ქუხილი ერთიანათ თავს დაატყდათ მოგზაურებს. დასაველეთის ქარი შესაზარლათ ზუზუნებდა. ტალღები ერთი მეორეს ეჯახებოდნენ, ზღვა საშიშრათ შფოთავდა, ზღვა მღელვარებდა, ზეირთებს ზეირთებზე ცის სიმაღლეზე ახლიდა. მენაფეები გამხეცებულ ზღვის ტალღებს მდგრათ შეებრძოლნენ, მაგრამ შეუბრალებელი ზღვის სტიქიონი არ ინდობდა ტრახინელთ მოგზაურთ. გამხეცებული ზღვის ტალღები უფრო და უფრო მეტის სიმძლავრით ეჯახებოდნენ გემის კედლებს და ყოველ წამს სრულს განადგურებას უქადოდნენ. ზღვაოსნები შიშის-ზარმა აიტანა და გამძვინვარებულ სტიქიონთან ომში დაღლილებმა გადარჩენის სრული იმედი დაჰკარგეს. გემის მძლავრი



კედლები შეირყა, დაზიანდა და ზღვის შეუბრალებელმა ტალღებმა სისწრაფით დენა დაიწყეს გემის კუნჭულებში. დადგა უკანასკნელი საშიში და გულ-საკლავი წამი. ზღვაოსნებმა თითქო ერთ-ხმათ ყველამ ცისკენ აღაპყრეს ხელები და ღმერთებს საზარლის ქვეთინით დახმარებას შესთხოვედნ. თვითოეული ზღვაოსანი ამ საშიშ წამს გულში იკრავდა ძმის, დის, საყვარელი დედ-მამის, მეუღლის და ნაცნობ-მეგობრების ხსოვნას. ცეისიც ამ საშინელ წამს თავის საყვარელ ალციონას ახსენებდა და გულამოსკვნით ქვეთინებდა და ქვეთინებდა.

დასაელეთის მძლავრმა ქარმა ერთიც კიდევ დაჰბერა და ტრახინელი მოგზაურნი გამძვინვარებულ ტალღებში შეაცურა და სამუდამოთ ზღვის უფსკრულში ჩაძარხა.

ალციონამ საყვარელი მეუღლის დაღუპვის შესახებ ჯერ კიდევ არაფერი არ იცოდა, იგი მუდამ წამს ღმერთებს მხურვალე ლოცვას სწირავდა ცეისის სამშობლოში მშვიდობით დაბრუნებისათვის. ალციონამ მოუშადა თავის საყვარელ ცეისს ძვირფასი ქსოვილების ტანთსაცმელი, რომელიც ხელმწიფეს უნდა ჩაეცვა დაბრუნების შემდეგ. დედოფალი უკვე დღე დღეზე მოელოდა თავის საყვარელ მეუღლეს.

ამგვარ ლოდინში ატარებდა ყოველ ცისმარე დღეს ალციონა. ერთს ღამეს დედოფალმა მეტათ საზარელი სიზმარი ნახა: ალციონას საწოლის წინ იდგა მკედარსავით ფერმიხდილი და სრულიად ტანთ-შიშველა ცეისი. მეტათ საშიში სახე ჰქონდა ცეისს, წვერები და უღვაშები დასეფლებოდა და თმიდან წყალი განუწყვეტლივ მოწვეთავდა. — საცოდავო! იცანი შენი ცეისი? გამოუცვლია მისი სახე შეუბრალებელ სიკვდილს? ასე ელაპარაკებოდა სიზმრათ ალციონას თავისი საყვარელი მეუღლე. — შენს საყვარელ ცეისს, შენს მეუღლეს-კი არა ხედავ, მის აჩრდილს! ვერა მიშველეს-რა ვერც შენმა ლოცვა-კუთხევამ, ვერც შენმა განუსაზღვრელმა სიყვარულმა და აღთქმებმა, მეუღლე შენი არ დაგიბრუნდება! ეგეას ზღვის შუა-გულში უეცრივ ამო-



ვარდა მძლავრი ქარი, რომელმაც ერთიანათ დაამსხვრია ჩვენი გემი და შეუბრალებელმა ტალღებმა სამუდამოთ დამიდუმეს ტუჩები სწორეთ იმ დროს, როცა ჩემი საყვარელის, ჩემი ძვირფასი ალციონას სახელს ეახსენებდი. აღსდგე, საცოდავო, შეიმოსე ძაძვებით და ცრემლების ფრქვევით პატივი ეცი ჩემს სახელის ხსოვნას, რომ დაუთირებელი საიქიოს არ ჩაეიდგე!

ამ სიტყვებზე ალციონამ ძილში ღრმად ამოიოხრა და ოთახიდან მიმავალ მეუღლისაკენ ხელები საცოდავთ გაიშვირა.

— დარჩი, ჩემო ძვირფასო! სად მიეშურები? ერთათ წაეიდეთ!


ასე ბუტბუტებდა ალციონა, როცა მას გამოეღვიძა. შემოილილივით წამოიჭრა საცოდავი ლოგინიდან და მორთო საზარელი, გულის გამგმირავი ქვითინი. „ჩემო ძვირფასო, ჩემო კარგო და ჩემო მშვენიერო ცეისს, განა შენს შემდეგ შენი ალციონა ცოცხალი უნდა დარჩეს! არა და არა, მეც შენთან ერთათ უნდა დავიმარხო, თუ ერთ კუბოში არა, ერთ საფლავის ქვის ქვეშ მაინც, რომლის წარწერა ყველას აუწყებს ორის გულითადის მეგობრების, ცეისის და ალციონას, სახელთა ხსოვნას!“

მშვენიერი დაწყნარებული დილა იყო. დილის ნიავე ნაზად დაჰქროლავდა დედამიწაზე და ყველაფერს აცხოველმყოფელებდა. ყველაფერი ხარობდა, ყველაფერს სიზარტულის ელფერი ედო. მხოლოდ საცოდავი ალციონა მწუხარებით გულს იშხამავდა და ხელებ-დაკრეფილი იჯდა ზღვის პირას, სწორეთ იმ ადგილას, საიდანაც ამ რამდენისამე დღის წინეთ საბრალო ცეისი გეპით კლაროსს გაისტუმრა, და თვალბ-ცრემლიანი ზღვის სივრცეს გასცქეროდა. უეცრივ ზღვის ნაპირიდან ცოტათი მოშორებით ალციონამ დამხრჩვალ კაცის გვამი დაინახა. ამ სანახავმა უფრო მეტათ დაამწუხრა საცოდავი დედოფალი. „საბრალო! მეცოდები და განსაკუთრებით, თუ ამასთანავე მეუღლეცა გყავს!“ ცრემლების ღაბალუპით, შემოილილივით, ესაუბრებოდა ალციონა ზღვის ტალღებში მომცურავს უცნობის გვამს. ტალღები დამხრჩვალის გვამს უფრო და უფრო უახლოვებდა ზღვის



ნაპირს. აი, ტალღებმა უცნობის გეგმი წყლის მახლობლათ შემო-  
აცურეს. „ეს იგია!“ გაგიჟებით ერთი-კი შეჰკიელა ალციონამ და  
ელეასავით სისწრაფით ტანთსაცმელი ერთიანათ შემოიგლიჯა: „ეგ-  
რე დამიბრუნდი, ჩემო ძვირფასო, ჩემო კარვო მეგობარო!“ გულ-  
საკლავათ შეჰყვირა ალციონამ და დაუყონებლივ აზვირთებულ ზღვის  
ტალღებში შეიჭრა. მაგრამ, დახეთ საკვირველებას! ალციონას უეც-  
რივ ფრთები გამოესხა, იგი ჭარლათ გარდაიქცა და საცოდავი ჭყი-  
ვილით ზღვის თვალ-უწვდენელ სიერცეს მწუხარებას ჰგერიდა. ალ-  
ციონამ დაუყონებლივ გაცივებული გეგმი ცეისისა ფრთებში მაგ-  
რათ ჩაიკრა და თავისი ნისკარტით მეუღლის დაღუმებულ ტუჩებს  
მძლავრათ ჩაეკონა. ცეისის უსულო გეგმა კარგათ იგრძნო საყვა-  
რელი მეგობრის ტკბილი ამბორი. ცეისიც ღმერთებმა ჭარლად გარ-  
დაქცევს. ამას შემდეგ ცეისი და ალციონა ერთმანერთს არ განშო-  
რებიან, და ისევ კვლავინდებურათ ტკბილათ და ტკბილათ უყვართ  
ერთმანერთი

ა. უუმისთაველი.







## სსვა-და-სსვა აგვეგი.

მეგობრობა და მტრობა მცენარეთა შორის. მე-  
 ლთაუც იცოდენ და ახლაც მეცნიერებმა გამოიკვლიეს,  
 რომ სსვა-და-სსვა მცენარეებს ერთმანერთ შორის ზოგს სი-  
 მუღვილი აქვს და ზოგს კი მეგობრული კავშირი. იმ ევა-  
 ვილებთან შორის, რომელთაც უფრო სძულთ ერთმანეთი  
 არის ვარდი და «რესედა». ამის დასამტკიცებლათ ეს ორი  
 ევაგილი სსვა ევაგილებთან ერთათ, რომ შეჭკრათ თაიგუ-  
 ლათ და წყალში ჩადოთ ნახევარ საათ შემდეგ შეატუბთ,  
 რომ ეს ორი მცენარე ერთმანეთს მჭიდროთ გადაეხვევიან და  
 უცბათ ჭკნობას იწყებენ, მაშინ როდესაც სსვა დანარჩენი ევაგი-  
 ლები თაიგულში ისევ ისე დაუმტკნარი რჩებიან. სწორეთ ამავე  
 მდგომარეობაში ვარდება შროშანაც, ვერ თვისდება სსვა  
 მცენარეების გვერდით; ეს ნაწი გასაფხულის ევაგილი  
 უმოწვალთ ჭკლამს ეველა თავის მესობელს. ზოგ სსვა  
 ევაგილებს, როგორც მაგალითათ მისჯეს და მსე-უჭკვრიტას,  
 ერთმანერთ შორის დიდი სიყვარული აქვთ.



**ე**ერთ მკსაფრს გზა დეკარგა ტუეში. ორი დღის გან-  
მავლობაში არც უსვამს და არც უჭამია. საშინლათ  
იტანჯებოდა შიმშილით და წუურვილით. უცებ წააწუდა სავ-  
სე სურჯინს და სისარულით მადლობა შესწირა ღმერთს:  
«ახლა-კი გადავრჩი შიმშილით სიკვდილსო». საჩქაროთ გახს-  
ნა სურჯინი, რომ საჭმელი ამოეღო და მწუსარებით ამო-  
იკენესა: ოხ, ღმერთო ჩემო, აქ მხოლოდ მარგალიტებიაო!

**ე**რთ ემაწვილს უთხრეს: სეყ ათი ჩიტი იჯდა.  
მონადირეძე ერთის სროლით ოთხი მოჭკლა, რამ-  
დენი დარჩა სეყდაო. ემაწვილმა უნასუნა ოთხიო, რადგან  
თოფის სმასე დანარჩენი გაფრინდებოდენო.

ძველი თქმულობა: როდესაც ქვეყანა შექმნა იუზი-  
ტერმა ეოველ სულდგუელს ოც—ოც-და-ათი წელიწადი  
სიცოცხლე მიანიჭა. ამ კარემოებით უცმაუფილო ვირი,  
ძადლი, მაიმუნი და ადამიანი წარსდგენ იუზიტერის წინაშე.

— რა გინდა, რისთვის მოსულხარ? — ჭკითხა იუზიტერ-  
მა ვირს.

— ნამეტანი გრძელი სიცოცხლე მომეცა და მინდა  
გთხოვო, რომ დამიკლოთ რამდენიმე წელიწადი! — შეევედ-  
რა ვირი. — ოც-და-ათ წელიწადს დაუღაღავი შრომა და ამ-  
კვარი მძიმე ტვირთის სიდვა აუტანელი არის ჩემთვის!

— კარგი! — ღმობიერათ მიუგო იუზიტერმა. — დამიკ-



ლია შენთვის ათი წელიწადი! და ზედ მეტი ათი წელიწადი ვირის ცხოვრებისა—განსე გადადვა.

— შენ რაღა გინდა? — მიუბრუნდა მერე იუზიტერი ძაღლს.

— მეც იმასვე გთხოვ, რაც ვირმა გთხოვა! — უნასუსა ძაღლმა. — ჩემთვისაც აუტანელია მთელი ოც-და-ათი წელიწადი შრომა, ეფუა, ღრენა, ეველაურის დარბაზობა, ეველა-ფერზე ჯავრობა, უძილობა, შიში, სიფრთხილე... მეც შემომოკლე ჩემი სიცოცხლე!

იუზიტერმა მასაც მოაკლო ათი წელიწადი და მერე მძიმუნს მიუბრუნდა.

— მეც მაგვარივე თხოვნით უნდა მოგმართო! — უთხრა მძიმუნმა. — მარტო მანჭვა და გრესა ერთ წელიწადსაც მოსაწეენი და ოც-და-ათ წელიწადს სომ აუტანელიაო!

კიდევ გადადვა იუზიტერმა განსე ასალი ათი წელიწადი, რომელიც მძიმუნს გამოართვა. ასლა წინ წამოდგა ადამიანი.

— მე-კი სულ წინააღმდეგს გთხოვთ! — გამოუცხადა მან იუზიტერს. — მე ისე მომწონს ჩემი ცხოვრება, რომ მინდა, ცოტა მაინც კიდევ მძიმებო. იმ მოკლე ოც-და-ათ წელიწადში, რომელიც შენ მომანიჭე — მე ვერც-კი ვასწრებ დავსტებე ეველა იმითი, რაც-კი რამე მშვენიერება ქვეყანასე არის. თუ შეიძლებოდა — რამდენიმე წელიწადი კიდევ მაჩუქე და სრული კმაყოფილი ვიქნები ჩემი ბედისაო.



— ძალიან კარგი! მაგრამ მე რაღა-კი რამ წელიწადები  
მქონდა სულ დავაბრეკე, და ახლა არ ვიცი, რა ვქნა! —  
მიუგო იუზიტერმა. — აი, თუ გინდა, ეს ზედ მეტი დრო წაი-  
ღე და როგორც გინდა ისე მოიხმარეო! — ცოტა დაუიქრე-  
ბის შემდეგ დაუმატა მან და ადამიანს განსეუ გადადებულ  
ვირის, ძაღლის და მამუშის ცხოვრების ათ-ათ წელიწად-  
ზე მიუთითა.

გახარებულმა ადამიანმა დაუიქრებლათ წაატანა ხელი  
ახალ ოც-და-ათ წელიწადს და ისე სისწრაფით გამოჰქანდა  
ქვეით, დედამიწისაკენ, რომ იუზიტერისთვის მადლობის გა-  
დასდაც-კი დაავიწყდა.

აი, რატომ არის, რომ კაცს მხოლოდ ოც-და-ათ წლამ-  
დის აქვს ნამდვილი ადამიანური ცხოვრება. გაივლის ოც-  
და-ათი წელიწადი — კაცი ცოლს შეირთავს და დაიწყებს  
მისთვის ვირის ცხოვრებას, აუტანელი შრომა და ჯაფა, მძი-  
მე ტვირთის ზიდვა... გაივლის კიდევ ათი წელიწა-  
დი და კაცი ძაღლივით იწყებს თავისი ქონების დარბაჯო-  
ბას, ჯავრიანობას და დილიდან საღამომდის, საღამოდან  
დილადადის — ეუფას და ღრენას. გაივლის კიდევ ათი წელი-  
წადი — და კაციც გამოუდგეგარი სდება, მამუშნივით მანჭვა-  
გრეხის მეტს ველარას ასეგრეებს, და იმანჭება, იგრინება  
მანამდის, სანამ, როგორც იქნება, სიკვდილი ბოლოს არ  
მოუღებს მის ცხოვრებას.





საჩუქრის მისაღები კითხვა.

რომელ ჩვენ მეფეს ეძახიან აღმაშენებელს და  
 ან რათ დაარქვეს ეს სახელი?

ვინც „ჯეჯილის“ ხელის მომწერ ბავშვთაგანი ამ კითხვაზე  
 საუკეთესო მოკლე აღწარას წარმოადგენს, იმას გავგზავნება საჩუქ-  
 რათ ახლათ გამოცემული ნახატებიანი წიგნი „ზღაპრები“. პასუ-  
 ხის გამოგზავნასთან (ეთხოვ დედ-მამას არ დაეხმარონ) ბავშვის წლო-  
 ვანება უნდა იყოს აღნიშნული. საუკეთესო პასუხი დაიბეჭდება იანვ-  
 რის „ჯეჯილში“.

გ ა მ ო ც ა ნ ე ბ ი.

(წამოადგენილი კ. ფრონისპირელისაგან).

თავზე რომ ცეცხლი დამადონ  
 მცვივა და მცვივა ცრემლები,



აქ ცოცხლებს ვემსახურები,  
იქ მკედრებსა თაფზე ვეწლები.

(წამოღგენილი აღ. შიუგაშვილისაგან).

საქმელიც არის, სასმელიც  
ხან ტანზე წასასმელია,  
ხან წაშლათ გარდაგვექცევა,  
ხან ცრემლების ამშლელია.

სამსახურს კარგათ ასრულებს,  
ჯამაგირს კი არ ვაძლევო.  
სამაგიეროთ ხან-და-ხან  
ვაჭმევ და კიდევ ვასმევო;  
არც არის ტიტველ-შიშველი,  
თუმც ტანზე არას ვაცმევო.

ნადირობს და სჭამს არაუფერს.

ა ნ დ ა ზ ე ბ ი.

(წამოღგენილი კოტე სეხნიაშვილისაგან).

გონიერს, რასაც აკეთებს ის არ აკვირვებსო.




ხე ნაყოფით იცნობებისო.

სიტყბო სიმწარით ნაგეში საიქიომდის გაგყევაო.

უჯრების ამოცანა.

(წამოდგენილი სათაგ. აზ. სკოლის შაწ. კ. თუხაძისაგან).



ამ უჯრებში ჩასვით შემდეგი ასოები, რომ გამოვიდეს რომელიმე ქართული ანდაზა: კ, დ, ი, ე, ც, ს, რ, ი, ო, ვ, რ, ე, ო, რ, ე, რ, ა, რ, მ, რ, დ, უ, რ, ვ, ა, დ, ლ, დ, ე, ს, ე, თ, ი, ჯ, ს, ე, ი.

შ ა რ ა დ ე ბ ი.

(წამოდგენილი ალ. შიუკაშვილისაგან).

ტან მაღალია, უზომო  
 სამფერი კაბა აცვია;  
 ერთი თეთრი და წითელი,  
 ერთიც მოლურჯო—ბაცია;  
 ვისაც იმას მიანდობენ  
 გულით თამამი კაცია.  
 მტრისა-კი მტერთან ბრძოლის დროს  
 მხედართა მოსატაცია.




თავში ზის ხმოვანი ასო,  
ბოლო კუთხეა კოჭისა;  
მრთელი... კაცია ჩვენსავეთ,  
წამალში ბევრს ფულს ფხოვნისა.

# რ ე ბ უ ს ი



20, ს



ბ 10, ბ

ვ

ს მ



მ რ

ა



ს



ო უ

100, ა





## А: X გამოცანებისა.

გამოცანები: 1) კურდღელი, 2) კვერცხი, 3) სალამური, 4) ნეესი და ძაფი, 5) კუბო.

ზმა: ვარდი, ჯოჯო, ხე, კუ, კიდე.

შარადები: 1) სალა—მური, 2) საათი.

რებუსი: გული კრული არს კაცისა ხარბი და გაუძღომელი.

გამოცანები, შარადა და რებუსი ახსნეს: სათავად-აზნაურო სკოლის მოწაფემ ეახტანგ თუხარელმა და ეზა ელიაემ, საჩხერის ორ კლასიან სკოლის მოწაფემ ვალერიან აბღუშელიშვილმა.





საქმაწვილო ნახატებიანი ჟურნალი



# „ჯ ე ჯ ი ლ ი“

წელიწადი მეცამეტე

გამოვა 1902 წელსაც თვეში ერთხელ იმავე პროგრამით, როგორც  
რათაც აქამდის.

ჟურნალი „ჯეჯილი“ მიღებულია თფილისის საეპარქიო და  
კავკასიის ოლქის სამოსწავლო 'რჩევებისაგან სასწავლებლების სა-  
მკითხველოებში საკითხავათ.

ჟურნალი „ჯეჯილი“ თფილისში დატარებით ღირს 4 მან. თფი-  
ლისს გარეშე გაგზავნით 5 მან. ცალკე ნომერი 50 კაპ.

ხელის მოწერა შეიძლება მხოლოდ წლით და ნახევარ წლით.

ხელის მოწერა მიიღება:

1) თფილისში — წერა-კითხვის გამ. საზოგადოების“ კანცელარიაში (Дворцовая ул. д. Груз. Двор., № 101), და თვით „ჯეჯილი“-ს რედაქციაში (Артиллер. ул. № 5, возлѣ Кадетскаго корпуса).

ფოსტის ადრესი: Вѣ Тифлисѣ, въ редакцію грузинскаго дѣтскаго журнала „Джѣджили“.





საქართველოს ენის ინსტიტუტი

საქართველოს ენის ინსტიტუტი

საქართველოს ენის ინსტიტუტი

საქართველოს ენის ინსტიტუტი

საქართველოს ენის ინსტიტუტი

საქართველოს ენის ინსტიტუტი

საქართველოს ენის ინსტიტუტი

საქართველოს ენის ინსტიტუტი

საქართველოს ენის ინსტიტუტი

საქართველოს ენის ინსტიტუტი

საქართველოს ენის ინსტიტუტი

საქართველოს ენის ინსტიტუტი

საქართველოს ენის ინსტიტუტი

საქართველოს ენის ინსტიტუტი